



# ახალი განათლება

2012 წელი, 1-7 მარტი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№9 (563) გამომდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## თანაბარი პირობები ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომად

**ტ** სტუმარია განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი



„განათლების სისტემის 2012 წლის გამოწვევების ერთ-ერთი მთავარი მიზანი საჯარო სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებაა. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას. 2012 წელს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა VII-XII კლასებში დაინერგება. ამავ კლასებისთვის შეიქმნება სახელმძღვანელო-

ები, რომლებიც გრიფირების ახალ, გამკაცრებულ წესს გაივლიან და რომელთა ფასი, მაქსიმუმ, 10 ლარი იქნება.“

„ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანა სკოლებში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის გაქლიერებულად სწავლების დაწესებაა.“

### სასარტიფიკაციო გამოცდები

განვითარებისა და სწავლის თეორიები მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრების ცოდნა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული

გვერდი 4

### მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიის კვლევებით დასასაბუთებლად არაგამოყენებული ამოცანები - განმარტებათა სისტემები და მათი ამოხსნის გამოყენებული გზები

გვერდი 5

### საუბრაები ბიბლიოთეკა

მენაგული ფლვა

გვერდი 7

### იურიტის კონსულტაცია

მასწავლებლების უფლების განსაზღვრის ფორმები

გვერდი 8

### გამოვიდა

ქონსტ. გამსახურდია - VIII ტომი  
რევაზ ინანიშვილი - VI ტომი  
გრიგოლ აბაშიძე - III ტომი

### სიახლე

ილია ჭავჭავაძე - ორგანიზაციული კლასიკური პოეზია - საგანმანათლებლო საქართველოს ინფორმაციული აგლანი





# თანაბარი პირობები ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომად

**განათლების სფერო საზოგადოებაში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მით უფრო, რომ გოლო წლებში, ზოგადასაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე გვირგვინი მნიშვნელოვანი სიახლე განხორციელდა. მიმდინარე რეფორმას ყოველწლიურად ახალი მიმართულებები და პრიორიტეტები ემატება. რა მიმართულებებს მოიცავს ამჟამად განათლების რეფორმა და რა სიახლეები განხორციელდება წელს, ამის შესახებ ჩვენს კითხვებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაჰკინი პასუხობს.**

**– 2012 წლის განათლების პრიორიტეტები – რა სიახლე იგეგმება წელს განათლების სისტემაში და როგორ განვითარდება უკვე მიმდინარე პროექტები?**

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2012 წლის სტრატეგიული გეგმა განათლების ყველა სფეროს მოიცავს, რაც ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს. ამ ეტაპზე სამინისტრო რეფორმებს 42 მიმართულებით ახორციელებს. მიმდინარე რეფორმებს 2012 წელს კიდევ ხუთი მიმართულება დაემატება.

სამომავლო გეგმებიდან ერთ-ერთი სიახლე 2012 წლის საზაფხულო პროგრამებია, რომელიც გულისხმობს: 1. სტუდენტური დასაქმების პროგრამას – საზაფხულო არდადეგებზე 25 000 სტუდენტის დასაქმებას საზაფხულო სამუშაოებზე; 2. საქართველოს 20 ქალაქის (სენაკი, მესტია, ახალციხე, ბორჯომი, გურჯაანი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ზესტაფონი, გორი, ხაშური, ზუგდიდი, ბათუმი, ტყიბული, ონი, ჭიათურა, ახალქალაქი, სამტრედია, ოზურგეთი, თელავი) მოსახლეობის გადამზადებას ინგლისურში, კომპიუტერსა და პროფესიულ ორიენტაციაში.

სიახლეა იმ 7000 სტუდენტისთვისაც, რომლებიც არაავტორიზებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლობენ, სამინისტრო მათ ერთიან ეროვნულ გამოცდებს დაუფინანსებს და გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში დაგროვილ კრედიტებს უღიარებს. ამ ცვლილებით სამინისტრო არაავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, ჩარიცხვის შემთხვევაში, აძლევს შანსს სწავლა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძონ.

მარტივდება უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლის ან სტუდენტის სასწავლო დაწესებულებაში მიღების წესი, 2012 წლიდან ისინი სასურველ სასწავლებელში განაცხადის გაკეთებიდან 24 საათის განმავლობაში შეძლებენ სწავლის დაწყებას. საჭირო დოკუმენტაციის ნამდვილობის დადასტურება კი პარალელურ რეჟიმში მოხდება. ცვლილების განხორციელებამდე უცხოეთიდან საქართველოში სწავლის გაგრძელების მსურველს უფართოვდება მისთვის სასურველი ფაკულტეტის შერჩევის არეალი, თუმცა მისი ჩარიცხვა მხოლოდ ერთხელ გაკეთებული არჩევანის საფუძველზე მოხდება. ამით გამოცდების საბოლოო შედეგების გამოცხადება დაჩქარდება და ნაცვლად ოქტომბრისა, 25 აგვისტომდე გახდება ცნობილი. ამდენად, 2012 წელი

აბიტურიენტებისა და მათი მშობლებისთვის ნაკლებად სტრესული და უფრო კომფორტული იქნება. მომავალი წლიდან ორ სპეციალობაზე – სამედიცინო ფაკულტეტის სამკურნალო, ფარმაცევტულ და სტომატოლოგიურ მიმართულებებზე და იურიდიულ ფაკულტეტზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარი 10-10%-ით გაიზრდება და 35% გახდება. ხოლო უცხო ენაში ზღვარი 30% გახდება. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ფაკულტეტის ყველა დანარჩენ მიმართულებებზე ზღვარი იგივე რჩება.

უმაღლეს სასწავლებლებს შეზღუდვები უწესდებათ და ყველა მათგანი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე საგანს მხოლოდ მაპროფილზელი მიმართულებიდან აირჩევს. აქამდე მეოთხე საგანს თავად უმაღლესი ირჩევდა და მიუხედავად მკაცრი პოლიტიკისა, არსებობდნენ უნივერსიტეტები, სადაც სამედიცინო ფაკულტეტზე მეოთხე გამოცდას აბიტურიენტები არა ქიმიკ-ბიოლოგიაში, არამედ ისტორიაში ან გეოგრაფიაში აბარებდნენ.

ცვლილება შედის კანონში მობილობასთან დაკავშირებით. სტუდენტთა მობილობა იზღუდება იმ თვალსაზრისით, რომ მაგალითად, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი სამედიცინოს სტუდენტი ვერ გახდება, ვიდრე ის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე განსხვავებულ გამოცდას შესაბამის საგანში არ ჩააბარებს. სტუდენტს, რომელიც მობილობით იცვლის ფაკულტეტს კრედიტები უნარჩუნდება.

უმაღლესი სასწავლებლებისთვის ასევე ამოქმედდება განვითარების ფონდი – ენდაუმენის ფონდი, დაფინანსდება სამაგისტრო პროგრამები უცხოეთში (DRF), ბათუმში გაიხსნება ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, თითოეული სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გამოიყოფა მილიონიანი გრანტი უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების ჩამოსაყვანად.

**– რა კონკრეტულ ცვლილებებს უნდა ველოდეთ ზოგადასაგანმანათლებლო სკოლებში?**

– განათლების სისტემის 2012 წლის გამოწვევების ერთ-ერთი მთავარი მიზანი საჯარო სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებაა. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმას. 2012 წელს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა VII-XII კლასებში დაინერგება. ამავე კლასებისთვის შეიქმნება სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფორების ახალ, გამკაცრებულ წესს გაივლიან და რომელთა ფასი, მაქსიმუმ, 10 ლარი იქნება. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით სკოლებში უკვე დანერგულია. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შემოღებით საგანმანათლებლო პროცესი ერთიან სივრცეში მოექცევა, სასწავლო გეგმა ხუთი წლის განმავლობაში არ შეიცვლება. სოციალურად დაუცველი მოსწავლეები, I-XII კლა-

სის ჩათვლით, სახელმძღვანელოებს სახელმწიფოსგან საჩუქრად მიიღებენ.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ამოცანა სკოლებში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების დანერგვაა. სკოლებში გაძლიერდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება, გადამზადდებიან პედაგოგები, გაიხსნება 100 ახალი „მომავლის კლასი“ და სკოლები აღიჭურვება smart board-ებით, შეიქმნება სპეციალური კომპიუტერული პროგრამები და ყველა საგანში შემცვნიები კომპიუტერული თამაშები დაინერგება, 2012 წელსაც 60 000-მდე პირველკლასელი და მათი პედაგოგები სახელმწიფოსგან საჩუქრად საქართველოში წარმოებულ კომპიუტერებს მიიღებენ; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების გაძლიერების მიზნით, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მეშვიდე კლასში ახალი საგანი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძველი შემოიღოს, რომელიც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დაწყებას უფრო ეფექტურს და სახალისოს გახდის, პროგრამა „ინსტანის“ ფარგლებში 1800 სკოლა ახალი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვება, გაგრძელდება საბუნებისმეტყველო მიმართულების საერთაშორისო საზაფხულო სკოლების ორგანიზებაც.

რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებას, 2012 წლიდან კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს პროექტი „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“. ამ პროექტის ფარგლებში, საქართველოში 2012 წელს 1500 ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებელი ჩამოვა. გარდა ამისა, ადგილობრივი 300 ინგლისური ენის მცოდნე მოხალისე ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და სხვა მაღალმთიანი რეგიონების სკოლებში ინგლისური ენის მასწავლებლად იმუშავენ, 2012 წელს სკოლებში გაიხსნება ინგლისური ენის კაბინეტები, საქართველოში, დიდ ბრიტანეთსა და მალტაში ამოქმედდება ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები.

**– მასწავლებელთა სერტიფიცირებას ივსე აქტუალურია, როგორ წარიმართება ეს პროცესი და როგორ აისახება პედაგოგთა ხელფასებზე?**

– განათლების 2012 წლის პრიორიტეტებში კვლავ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის გაზრდა, სერტიფიცირება და ხელფასების ზრდა. სერტიფიცირების გავლის შემდეგ პედაგოგის ხელფასი 75 ლარით იზრდება. მენტორობის შემთხვევაში კი, მასწავლებელს ხელფასზე 180 ლარიანი დანამატი აქვს. გარდა ამისა, ყველა სერტიფიცირებულ მასწავლებელს ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, ხელფასზე დანამატი 125 ლარი ეძლევა, ხოლო სერტიფიცირებულ პედაგოგს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ინგლისურისა და კომპიუტერის ინტეგრირებული გამოცდა და საუკეთესო 25%-ში მოხვდა, ხელფასი 1000 ლარი აქვს. ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სერტიფიცირებული პედაგოგები, ლაბორატორიის ტესტის ჩაბარების შემთხვევაში, ხელფასზე დანამატს – 75 ლარს მიიღებენ.

მაღალმთიან რაიონებში პროგრამის „ისწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე ყველა მასწავლებელი ხელფასზე 500-ლარიან დანამატს იღებს, ხელფასზე 1000-ლარიანი დანამატი აქვს პროგრამაში

„ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე ყველა მასწავლებელს, ბოლინგურ სწავლებაში ჩართული მასწავლებლები დამატებით 20 ლარს იღებენ.

მასწავლებლების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, 2012 წელს, აშენდება: მასწავლებლის სახლები ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის გადამზადდებიან პედაგოგები, გაძლიერდება მენტორ-მასწავლებლების და მადიებლობის პროგრამები, შეიქმნება მასწავლებელთა ახალი დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები, დაგეგმილია მასწავლებელთა გადამზადება უცხოეთშიც (ცერნი, ნოტინგჰემი).

**– რა პრიორიტეტები იქნება პროფესიულ სწავლებაში? მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, როგორია ამ სფეროს მომავალი?**

– შრომის ბაზრის მოთხოვნების საპასუხოდ, 2012 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების კიდევ უფრო გაძლიერებასა და ხელშეწყობას გეგმავს. 2012 წლიდან პროფესიული განათლება ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ პროფესიული კოლეჯების სტუდენტებს სამინისტრო სწავლას დაუფინანსებს და თითო სტუდენტს ათასლარიან ვაუჩერს მისცემს, სოციალურად დაუცველი სტუდენტები 100%-იან დაფინანსებას მიიღებენ. ცვლილებებია უმაღლეს მეოთხე და მეხუთე დონის პროფესიულ განათლებაშიც. ახალი წესით, აბიტურიენტები უმაღლეს პროფესიულ სასწავლებლებში ისეთივე პრინციპით მოხვდებიან, როგორც მაგისტრატურაში, ისინი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგად უნარებს ჩააბარებენ და აგვისტოში აირჩევენ სასურველ სპეციალობებს. სტუდენტი წინასწარ არ აფიქსირებს, თუ სად აპირებს სწავლის გაგრძელებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასევე დაგეგმილი აქვს 4 ახალი პროფესიული კოლეჯის მშენებლობა.

**– განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს ეთნიკური უმცირესობებისათვის, რა სიახლე იქნება ამ პროექტის ფარგლებში?**

– სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრირება წარმოადგენს, ამ მხრივ, მთავარი პრობლემა ენობრივი ბარიერია. სწორედ ამ სირთულეს დაძლევის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამოქმედა პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომელიც უკვე წარმატებით ფუნქციონირებს და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოხალისე ქართული ენის პედაგოგების წარგზავნას გულისხმობს. 2012 წლიდან ამ პროექტის კიდევ უფრო გაძლიერება იგეგმება, 500 მოხალისე პედაგოგი გაიგზავნება არაქართულენოვან სკოლებში. სპეციალურად ეთნიკური უმცირესობებისთვის უკვე შექმნილია ქართული ენის სახელმძღვანელო დამხმარე აუდიოვიდეო მასალით, რომელიც დაყოფილია დონეების მიხედვით, ამ ეტაპზე გამოცემულია სამი დონე, 2012 წელს სრულად თორმეტივე დონე დაიბეჭდება. სახელმძღვანელოები დაურიგდება როგორც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებს, ასევე ქართული ენის სახლებს. ქართული ენის სახლების გახსნა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის იმ რაიონებში იგეგმება, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. ამ სახლებ-

ში ქართული სწავლა ყველა ასაკის მსურველს შეეძლება. ასევე, განხორციელდება მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები, გადამზადდებიან არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები, გაძლიერდება მულტილინგვური სწავლება. მასწავლებელი, რომელიც მულტილინგვურად ასწავლის ხელფასზე ორასლარიან დანამატს მიიღებს.

გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ექნებათ ქვოტები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და შეღავათები – ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. გაძლიერდება ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, სადაც არაქართულენოვანი სკოლის დირექტორებისა და პედაგოგების გადამზადება და მათთვის ქართული ენის სწავლება მოხდება.

**– განათლების სისტემა მთლიანად გადაის ელექტრონული მართვის სისტემაზე, როგორ ხორციელდება ეს პროცესი?**

– 2012 წლის გამოწვევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამინისტროს ელექტრონული სტრატეგიის – E-strategy განხორციელებას, რომელიც სრულიად საგანმანათლებლო სისტემას ელექტრონულ რეჟიმზე გადაიყვანს, შეიქმნება ელექტრონული ბაზები: ePeople – ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, eSchools – სკოლების საინფორმაციო სისტემა, eStudents – მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო სისტემა, eOfficers – მანდატურების საინფორმაციო სისტემა, eAssets – სკოლების ინფრასტრუქტურის მართვის სისტემა, eFinance – სკოლების ფინანსური მონიტორინგის სისტემა, eGIS – გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა, eLibrary – ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა, eCatalog – საგანმანათლებლო დაწესებულებების კატალოგი.

**– ეს, რაც შეეხება შინაარსობრივ ცვლილებებს, რა იგეგმება ინფრასტრუქტურული ცვლილებების მიმართულებით?**

– შინაარსობრივი ცვლილებების პარალელურად, დაგეგმილია ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებიც, გათვალისწინებულია სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რასაც დამატებით 40 მილიონი ლარი მოხმარდება – აშენდება 10 ახალი სკოლა, 4 ახალი პროფესიული სასწავლებელი (თბილისი, ოზურგეთი, ქობულეთი) და 3 ახალი საინფორმაციო ცენტრი (თელავი, ზუგდიდი, ახალციხე), გაიხსნება სონის პროფესიული კოლეჯი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხელნაწერთა ინსტიტუტს. 2012 წელს სკოლების ახალი ვაუჩერული დაფინანსების სისტემით აღმოფხვრილია დანაკლისიანი სკოლების პრობლემა და სკოლების დაფინანსება გაზრდილია 40 მილიონი ლარით.

**– მალე საქართველოს მანდატურის სამსახური მანდატურთა საერთაშორისო ასოციაციაში გაერთიანდება, რა მოგვცა სკოლის მანდატურთა სამსახურის ამოქმედებამ?**

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევებს შორის „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. სამინისტროს მიზანია, მშობლებს შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია ჰქონდეთ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სკოლის მანდატურის ინსტიტუტი, რომლის აუცილებლობაშიც საზოგადოება უკვე დარწმუნდა.



ევროკავშირის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევებით, საზოგადოების 78% მიიჩნევს, რომ საქართველოს სკოლებში სწავლა უსაფრთხოა, რაც სკოლებში სკოლის მანდატურების შესვლის შედეგია. მანდატურების შესვლის შემდეგ, სკოლებში 94%-ით შემცირდა ძალადობა, 98%-ით ვანდალიზმის, ხოლო 97%-ით ცივი იარაღის ტარების ფაქტები.

2012 წლის გამოწვევებში ასევე მნიშვნელოვანია „უსაფრთხო სკოლის“ ფარგლებში მანდატურის სამსახურის გაფართოება და ყველა რაიონულ ცენტრში ამ სამსახურის ამოქმედება. საქართველოს მანდატურის სამსახური სკოლის მანდატურთა საერთაშორისო ასოციაციაში განეწესება, მანდატურები, დამატებით, 140 სკოლაში შევლენ, გაგრძელდება მათი გადამზადება.

**ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ფეხს იკიდებს ინკლუზიური სწავლება, ამ მიმართულებით რა იგეგმება?**

გაეროს კვლევების თანახმად, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ნაშევან ადგილს იკავებს განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ. ამ შედეგს საქართველოს განათლების სისტემამ კომპლექსური რეფორმების შედეგად მიაღწია, სადაც ინკლუზიური განათლების განვითარება ერთ-ერთ ნაშევან პოზიციას იკავებს. 2012 წელს კიდევ უფრო გაიზრდება ინკლუზიური სკოლების რაოდენობა, შეიქმნება ადაპტირებული ფიზიკური გარემო, გადამზადდებიან ინკლუზიური მასწავლებლები, დაიწყება ინკლუზიური განათლების დახურვა პროფესიულ სასწავლებლებშიც, ასევე დაგეგმილია საქართველოში ინკლუზიური განათლების საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება.

**იქნება თუ არა წელს საატესტატო გამოცდები განსხვავებული? აინფეს თუ არა სტანდარტი და ბარიერი?**

ატესტატის მისაღებად ყველა მეთორმეტეკლასელი მინიმალურ კომპეტენციას 8 საგანში დაადასტურებს. ეს საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. მომავალ წელს, ქართულენოვანი სკოლებისთვის საატესტატო გამოცდებზე გამსვლელი ქულა ყველა საგანში 5,5 იქნება, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში ბარიერი 5,3 ქულით განისაზღვრება.

საერთაშორისო შეფასებით, საქართველო პირველი ქვეყანაა სადაც ასეთი მასშტაბური გამოცდა ცენტრალიზებურად, ერთიანი მართვისა და კონტროლის პირობებში, თანამედროვე მეთოდებით ჩატარდა.

**დაბოლოს, რა არის 2012 წლის განათლების სტრატეგიული გეგმის მთავარი მიზანი?**

ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებების პარალელურად, სამინისტრო მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის არაერთ პროექტს ახორციელებს. მომავალი წლის ბიუჯეტში სამეცნიერო კვლევებისთვის 25 მილიონი ლარია გათვალისწინებული, მოხდება სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება, ხელნაერთა ინსტიტუტის რეაბილიტაცია, დაგეგმილია ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა და საზღვარგარეთის სამეცნიერო კვლევით ცენტრებში მათი მივლინება, სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ტარდება საერთაშორისო კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“.

2012 წლის სტრატეგიული გეგმის მთავარი მიზანია – ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი იყოს ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის.

მომავალად  
ლალი ჯეღაძე

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლებისთვის აცხადებს ახალ ფოტოკონკურსს

**„ჩემი სკოლის ლოგო“ სამინისტროს ოფიციალურ facebook-ის გვერდზე [www.facebook.com/mes.gov.ge](http://www.facebook.com/mes.gov.ge)  
„ჩემი საყვარელი სკოლა“, მინისტრის ოფიციალურ facebook-ის გვერდზე [www.facebook.com/dimitrishashkni](http://www.facebook.com/dimitrishashkni)**

გამოგზავნეთ ფოტო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ მეილზე: [educationgovge@gmail.com](mailto:educationgovge@gmail.com)  
მიუთითეთ ფოტოკონკურსის სახელწოდება და სკოლის სახელწოდება.

## ფოტომასალის მიღება გაგრძელდება 2012 წლის 15 მარტამდე

კონკურსის ფარგლებში გამოგზავნილი ფოტომასალა ადმინისტრატორის მიერ გადატანილ იქნება ფოტოალბომებში – „ჩემი სკოლის ლოგო“ და „ჩემი საყვარელი სკოლა“.

- გამარჯვებული სკოლა გამოვლინდება Like-ების რაოდენობის მიხედვით და შეფასდება facebook-ის მომხმარებლის მიერ;
- გამოგზავნილი მასალა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს თემატიკასთან;
- მისაღება ნებისმიერი ფოტო, რომელზეც სკოლა, სასკოლო გარემო, ან გაკვეთილი იქნება ასახული, ნამუშევარი სკოლის სახელით უნდა გამოგზავნოს.

- ყველა ფოტო, რომელიც არ პასუხობს თემატიკას და არის უცენზურო, ავტომატურად ამოვარდება კონკურსიდან;
- ფოტოსა და სკოლის ლოგოს შექმნაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც სკოლის მოსწავლეებს და მასწავლებლებს, აგრეთვე მშობლებსაც.
- თითო სკოლას შეუძლია წარმოადგინოს თითო ლოგო და საკონკურსო ფოტო (შესაძლებელია გაკეთდეს რამდენიმე ფოტოს კოლაჟი და გამოგზავნოთ ერთ ფოტოდ);
- ფოტო უნდა იყოს გადაღებული თქვენს სკოლაში, თქვენ მიერ;
- ფოტო აუცილებლად უნდა გამოგზავნოს სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომელმა ან დირექტორმა და მიუთითოს თავისი სახელი გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია.

**გამარჯვებული გამოვლინდება  
2012 წლის 15 მარტს, 18:00 საათზე**

## გამარჯვებულ სკოლას სამინისტრო უსახილლოდ მოუწოდებს „მოავლის კლასს“, გისურვებთ წარმატებას!

### ინფორმაცია

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი ოკუპირებული ტერიტორიის (გალის რაიონი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აბიტურიენტებს და პედაგოგებს გამოცდების ეროვნულ ცენტრში შეხვდა. შეხვედრას აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი დალი ხომერიკი და გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნონა შონია დაესწრო. 30-ზე მეტი აბიტურიენტი გაეცნო ინფორმაციას 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დაგეგმილი სიახლეების შესახებ, ასევე, მოზარდებს საგნობრივი ჯგუფების ხელმძღვანელებისგან გაენიათ კონსულტაციები. გალის რაიონში მცხოვრებ აბიტურიენტებსა და სკოლებს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი მასალებიც გადასცა.



იმავ დღეს, ოკუპირებული ტერიტორიის (გალის რაიონი) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აბიტურიენტებს და პედაგოგებს საქართველოს ხელნაერთა ეროვნულმა ცენტრმა უმასპინძლა.

2012 წლის 25 თებერვალს, საქართველოს ოკუპაციის დღეს, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები, საქართველოს ოკუპაციის კვირულის ფარგლებში, საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში გამართული თემატური გამოფენის „საქართველოს ოკუპაციის ისტორია და ადამიანები“ დახურვას დაესწრნენ.

მოზარდებს ხელნაერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული ქართველი ემიგრანტების (ნოე ჟორდანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და სხვ.) პირადი საარქივო მასალები, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და სხვა საგამოფენო ექსპონატების დათვალიერების და 2008 წლის აგვისტოსა და 1921 წლის მოვლენებს შორის ისტორიული პარალელების გავლენის შესაძლებლობა ჰქონდათ.

ოკუპაციის კვირულის ფარგლებში, აღნიშნულ გამოფენას საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში აფხაზეთის საჯარო სკოლების, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიის (გალის რაიონი), 100-ზე მეტი მოზარდი გაეცნო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ ამალღოველი სოფელ ნიგაზეულის მოსახლეობას, საჯარო სკოლის პედაგოგებსა და ადმინისტრაციის წევრებს შეხვდნენ და ნიგაზეულის საჯარო სკოლის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რეაბილიტაციის პროექტი წარუდგინეს.

ნიგაზეულის საჯარო სკოლა აშენებულია 1979 წელს. კაპიტალური რეაბილიტაცია დღემდე არ ჩატარებია. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, 2012 წელს დაიგეგმა საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. სარეაბილიტა-



ციო შენობა ოთხსართულიანია. პროექტი ითვალისწინებს შენობის სრულ რეაბილიტაციას. დაგეგმილია 12 საკლასო ოთახის, სამი კლას-ლაბორატორიის, კომპიუტერული ოთახის, ბიბლიოთეკის, სააქტო და სპორტული დარბაზების და სხვა ადმინისტრაციული კაბინეტების მონყობა. პროექტით გათვალისწინებულია თანამედროვე გათბობის სისტემის დამონტაჟება. რეაბილიტაციისათვის, მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, გამოყოფილია 482 648 ლარი.

შუახევის მუნიციპალიტეტში სულ 43 საჯარო სკოლაა. მათ შორის რეაბილიტირებული და ახალაშენებულია 31 საჯარო სკოლა. ასევე, წელს შუახევის მუნიციპალიტეტში ნიგაზეულის საჯარო სკოლის გარდა იგეგმება სოფელ ნენის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

2012 წლის 23 თებერვალს ბათუმის პროფესიულ კოლეჯ „ბლექსა“ და სამკერვალო ფაბრიკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა, რომლის თანახმად, პროფესიული სასწავლებლის სამკერვალო ნაწარმის ფაქულტეტის კურსდამთავრებულები შ.პ.ს. AJARA TEXTILE-ში დასაქმდებიან. შეთანხმებას ხელი კოლეჯის დირექტორმა გიორგი გოგიტიძემ და ფაბრიკის მენეჯერმა მაჰმედ ეფენდი ოღლუმ მოაწერეს. ხელშეკრულების დადების ცერემონიალს აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე დაესწრო.

შრომის ბაზრის კვლევებიდან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმების მიზნით მნიშვნელოვანია გადამზადების კურსების უზრუნველყოფა.

სსიპ – პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ სასწავლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ ადამიანს მცირე დროში საშუალება ეძლევა მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია და ცოდნა. თეორიულ კურსთან ერთად მსმენელს ეძლევა საშუალება, ადგილზე გაიაროს პრაქტიკული მეცადინეობა თანამედროვე ტიპის მანქანა დანადგარებზე.





სასაქონლო-სამეცნიერო გამოცდები

ბანკოტარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზროვნის სკოლას მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული



ბახშალი ბახშალი (1913-1999)

ბანკოტარების მიზნების ტაქსონომია

ბენჯამენ ბლუმი, დოქტორი განათლების დარგში, 1940 წლიდან მოღვაწეობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე. 1948 წლიდან ბლუმი ხელმძღვანელობდა განათლების ფსიქოლოგიის კომიტეტს, რომლის მიზანი იყო სასწავლო ქვეყნების კატეგორიების იდენტიფიკაციის სისტემის შემუშავება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ბლუმის მუშაობა სწავლის მიზნებისა და სწავლების შედეგების კლასიფიკაციის ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც გამოდგებოდა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ობიექტური შეფასებისათვის. ეს სისტემა „ბლუმის ტაქსონომია“ სახელწოდებით არის ცნობილი და ჩამოყალიბებულია ბლუმის და მისი თანამოაზრეების ცნობილ სამტომეულ ნაშრომში: „განათლების მიზნების ტაქსონომია“ (1956, 1964, 1970).

ტაქსონომია არის კლასიფიკაციის პრინციპების საფუძველზე ჯგუფების, კატეგორიების გამოყოფის სისტემა. ბლუმის ტაქსონომია გულისხმობს სწავლის მეთოდისა და შეფასების კლასიკურ სტრუქტურას: ცოდნას, განწყობას, ჩვევებს. ეს მოდელი სასწავლო მიზნების, სწავლებისა და სწავლების შედეგების გაზომვის ეფექტიანი საშუალებაა. ბლუმის ტაქსონომია იძლევა დეტალურ სტრუქტურას სწავლების დაგეგმვის, სასწავლო მეთოდებისა და ტრენინგის ეფექტიანობის შეფასებისათვის. ბლუმის მიხედვით, განათლების მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ – მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება.

ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს: კოგნიტურს (შემეცნებითს): ინტელექტუალური შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნება. აფექტურს (ემოციურს): გრძობები, ემოციები, განწყობები. ფსიქომოტორულს: ფიზიკური უნარები და ჩვევები. სამივე სფეროში კატეგორიები იერარქიულადაა განლაგებული სირთულის მიხედვით. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ყოველ შემდეგ კატეგორიაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ ნინა კატეგორიის შესაბამისი ჩვევების დაუფლების შემდეგ. ამგვარად, ყოველი სფეროს ფარგლებში გამოიყოფა განვითარების დონეები მარტივიდან რთულისკენ.

Table with 3 columns: კომპონენტი ცოდნა, აფექტური განწყობა, ფსიქომოტორული ჩვევები. Rows include: 1. ფაქტების ბაზსენება, 2. გაგება, 3. გამოყენება, 4. ანალიზი, 5. სინთეზი, 6. შეფასება.

ბლუმის ტაქსონომიის კოგნიტური, ანუ შემეცნებითი სფერო მოიცავს ექვს დონეს, რაც შესაბამისაა აზროვნების, ინტელექტუალური მოქმედების განსხვავებულ დონეებს მარტივიდან რთულისკენ.

კომპონენტი, ანუ შემეცნებითი სფერო

Table with 4 columns: დონე, კატეგორია, ძველის აღწერილობა, დასაოსტატაპალი მოქმედების/შესაფასებალი შედეგის აღწერა, სიტყვები, რომლებიც უკავშირდება აღწერას. Rows include: 1. ცოდნა, 2. გაგება, 3. გამოყენება, 4. ანალიზი, 5. სინთეზი, 6. შეფასება.

ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ინფორმაციის შენახვა და გახსენება ინტელექტუალური აქტივობის ყველაზე დაბალი საფეხურია, რაც სწავლისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია განზოგადდეს და შემდგომში ადეკვატურად იქნეს გამოყენებული, აუცილებელია მისი გაგება და სათანადო ანალიზი; ახალი პრობლემის შესაქმნელად, ახალი ცოდნის მისაღებად კი აუცილებელია სინთეზისა და შეფასების მოქმედებების, პროცესების განვითარება.

ბლუმის ტაქსონომიის კოგნიტური სფეროს დონეები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული კონკრეტული გაკვეთილის დაგეგმვისას როგორც თემის ახსნის, ასევე – დავალებისა და შეფასებისათვის ტესტური კითხვების შემუშავების დროს. მაგ., კონკრეტული თემის ახსნისას მასწავლებელი განმარტავს ახალ წესებს, ცნებებს ან მიანდის ახალ ფაქტებს მოსწავლეებს. ეს არის, ბლუმის მიხედვით, I – ცოდნის დონე.

II დონე – გაგება: ბლუმის კონცეფციის თანახმად, იმისათვის, რომ მოსწავლეებმა აითვისონ კონკრეტული თემა, ცოდნა არ არის საკმარისი. მასწავლებელმა უნდა ახსნას ცნება, წესი ან ფაქტი, გააცნოს მათ შესაბამისი თვალსაზრისი მასალა და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით შეაჯამოს ახალი ინფორმაცია.

III დონე – გამოყენება: მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს, მოიძიონ ის რეალური სიტუაციები, რომელთა დროს ისინი გამოიყენებენ გაკვეთილზე მიღებულ თეორიულ ცოდნას;

IV დონე – ანალიზი: მას შემდეგ, რაც მიწოდებულია ახალი ინფორმაცია, მასწავლებელმა, კონკრეტულ თემაზე მსჯელობისას შეიძლება გამოიყოს საკითხის სხვადასხვა მხარე და ერთ-მანეთს შეადაროს ისინი ან პროცესი დაშლის ელემენტებად, ან კიდევ – მოსწავლეებს ჩაატარებინოს ექსპერიმენტი. ასევე, მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს მოიძიონ და შეადარონ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტი, შეხედულება, დააფიქსირონ მათ შორის განსხვავება, მსგავსება, გააანალიზონ მათი სუსტი და ძლიერი მხარეები.

V დონე – სინთეზი: მასწავლებელი ავალეს მოსწავლეებს შესწავლილი ფაქტების, წესებისა თუ თეორიის საფუძველზე მოიფიქრონ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის გზები, შეიმუშაონ ჰიპოთეზები და დასახონ მათი შემოწმების გზები.

VI დონე – შეფასება: ახალი მასალის ახსნის შემდეგ მასწავლებელი გეგმავს დისკუსიას, სადაც მოსწავლეებთან ერთად განიხილავს შესწავლილი თეორიის ან მიდგომის პრაქტიკულ და თეორიულ მხარეებს და სთხოვს მათ, მოიყვანონ არგუმენტები ამ თეორიის თუ მიდგომის შედეგანობის, პრაქტიკული გამოყენების, წინააღმდეგობრივი ფაქტების შესაფასებლად.

ბლუმის ტაქსონომიის მეორე, აფექტური სფეროს დონეები შეიმუშავა კრათოლოსა და მისი-ასთან ერთად (1964). ბლუმის მოდელის მიხედვით, განწყობის ჩამოყალიბების სტრუქტურის, ადამიანის ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებისა და ემოციური დამოკიდებულებების ცოდნა მნიშვნელოვანია გაკვეთილის, ტრენინგის დაგეგმვის, ჩატარებისა და შეფასებისათვის.

ბლუმის ტაქსონომიის მესამე სფეროში (ფსიქომოტორული) გამოყოფილია ფიზიკური ჩვევების ჩამოყალიბების დონეები. ამ სფეროს დონეები ბლუმის იდეებზე დაყრდნობით აღწერა რ. დეივმა (1970).

ფსიქომოტორული სფერო

Table with 4 columns: დონე, კატეგორია, ძველის აღწერილობა, დასაოსტატაპალი მოქმედების/შესაფასებალი შედეგის აღწერა, სიტყვები, რომლებიც უკავშირდება აღწერას. Rows include: 1. იმიტაცია, 2. მანიპულაცია, 3. სიზუსტე, 4. ჩვევების კომპონირება, 5. ნატურალიზაცია.

ზემოაღნიშნული საფეხურების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ჩვევის სწავლებისა და ავტომატიზაციისათვის. ეს ეხება არა მხოლოდ მოტორულ ჩვევებს, არამედ ისეთი კოგნიტური უნარების განვითარებასაც, რომლებიც ჩვევად ყალიბდება და ავტომატიზდება, კერძოდ, წერა-კითხვას. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ველოსიპედის ტარების ჩვევის ათვისების საფეხურები:

იმიტაცია: ბავშვი უყურებს სხვის მოქმედებას და ცდილობს გაიმეოროს – ველოსიპედზე დაჯდომა, საჭის სწორად დაჭერა, პედლების ტრიალი;

მანიპულაცია: ბავშვი იხსენებს, როგორ უნდა დაჯდეს ველოსიპედზე, როგორ უნდა მოჰკიდოს ხელები საჭეს, მასწავლებლის დახმარებით ცდილობს ველოსიპედის მართვას. შემდეგ მასწავლებელი სიტყვიერი მითითებით ეხმარება: „საჭე სწორად გეჭიროს, ფეხი ცოტა განზე განიე და ა.შ.“;

სიზუსტე: ბავშვი უკვე დამოუკიდებლად, თუმცა მოუქნელად ატარებს ველოსიპედს, ხშირად ვარდება და ცდილობს გაავარჯიშოს ნასწავლი მოძრაობები;

ჩვევების კომპონირება: ბავშვი ცდილობს, ისწავლოს აღმართზე და დაღმართზე სიარული, როდესაც ხელების, ფეხების და ტანის კორპუსის შეთანხმებული მოძრაობები სხვაგვარ კოორდინაციას საჭიროებს, ვიდრე სწორ გზაზე მოძრაობა;

ნატურალიზაცია: ბავშვი ველოსიპედს ატარებს ავტომატურად, ისე, რომ არ ფიქრობს საკუთარი სხეულის მოძრაობებზე და პარალელურად სხვა მოქმედებების განხორციელებაც კი შეუძლია, მაგ., შეუძლია ხელები დაკავებული ჰქონდეს და ისე ატაროს ველოსიპედი.

ბლუმის ტაქსონომიას წარმატებით იყენებენ განათლების სისტემაში სასწავლო გეგმების შექმნის, სასწავლო პროგრამების შემუშავების და მათი შედეგების შეფასების, გაკვეთილის დაგეგმვისა და ტესტური დავალებების შედგენისას. ამავე დროს, ბლუმის ტაქსონომიას იყენებენ ორგანიზაციებში თანამშრომლების ტრენინგის დაგეგმვის, ტრენინგის პროგრამის შემუშავებისა და ტრენინგის შედეგების შეფასებისა.



# მათემატიკის კლასობითი დასახმარებლად

მკირფასო მასწავლებლო, გთავაზობთ ამოცანებს, რომელთა უმრავლესობაც არ გვხვდება მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში. ამჯერად განვიხილავთ არაგეომეტრიულ ამოცანებს, კერძოდ განტოლებათა სისტემებს და მათი ამოხსნის გეომეტრიულ გზებს.

**სავარჯიშო 1.**

პირობების  $x^2+y^2=9$ ,  $y^2+z^2=16$ ,  $y^2=xz$  გათვალისწინებით, სისტემის ამოუხსნელად გამოვთვალოთ  $xy+yz$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x$ ,  $y$ ,  $z$  დადებითი რიცხვებია.

**ამოხსნა.**

$$\begin{cases} x^2 + y^2 = 9 \\ y^2 + z^2 = 16 \\ y^2 = xz \end{cases}$$

სისტემის ამოხსნა ალგებრული ხერხით სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგალითად, მისი ამოხსნა შეიძლება შემდეგნაირად:


$x^2+2y^2+z^2=25$  (შევკრიბეთ პირველი და მეორე განტოლებები)  $x^2+2xz+z^2=25$  (ჩავსვით  $y^2$ -ის ნაცვლად  $xz$ )  $\Rightarrow (x+z)^2=25 \Rightarrow x+z=5$ , რადგან  $x>0$ ,  $z>0$ . ე.ი.  $z=5-x$ . შევტანოთ  $y^2=xz$  და  $z=5-x$  პირველ განტოლებაში, საიდანაც მივიღებთ  $x^2+x(5-x)=9$  ამ განტოლების ამონახსნია  $x=1,8$ . შემდეგი გამოთვლებით კი  $z=3,2$ ,  $y=2,4$ .

გამოსახულების  $xy+yz$  მნიშვნელობა იქნება  $1,8 \cdot 2,4 + 2,4 \cdot 3,2 = 12$ . ამოცანა არ მოითხოვდა სისტემის ამოხსნას და შემდეგ  $xy+yz$  გამოსახულების მნიშვნელობის მოძებნას, პირიქით, ამ გამოსახულების მნიშვნელობა უნდა გვეპოვა განტოლებათა სისტემის ამოუხსნელად.

რადგან  $x$ ,  $y$ ,  $z$  დადებითი რიცხვებია შეიძლება ამოცანის გეომეტრიული ინტერპრეტაცია.

პითაგორას თეორემის შებრუნებული თეორემის თანახმად პირველი განტოლების მიხედვით  $x$ ,  $y$  და  $3$  წარმოადგენენ შესაბამისად რაიმე  $ABD$  სამკუთხედის ( $D$  მართი კუთხის წვეროა) კათეტებს და ჰიპოტენუსას.

ახლა, თუ განვიხილავთ სისტემის მეორე განტოლებას, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ  $y$ ,  $z$  და  $4$  შესაბამისად  $BCD$  სამკუთხედის ( $D$  მართი კუთხის წვეროა) კათეტები და ჰიპოტენუსაა.



მესამე განტოლებიდან ჩანს, რომ  $y$  საშუალო პროპორციულია (საშუალო გეომეტრიულია)  $x$  და  $z$  რიცხვების, მაშინ მართკუთხა სამკუთხედში პროპორციული მონაკვეთების შესახებ თეორემის თანახმად, კუთხე  $ABC$  მართია.

ახლა განვიხილოთ გამოსახულება  $xy+yz$

$$xy+yz=(x+z) \cdot y=2S_{ABC}=3 \cdot 4=12$$

**პასუხი: 12**

**შენიშვნა.** მოცემული პირობებით აგრეთვე შესაძლებელია  $x/y$ ,  $z/y$ -ის მოძებნა.

**სავარჯიშო 2.**

გამოვთვალოთ

$$y(\sqrt{x-1} + \sqrt{2-z}),$$

თუ  $y>0$ ,  $x+y^2=7,25$ ,  $y^2-z=2$  და  $y = \sqrt{x-1} \cdot \sqrt{2-z}$ .


$$\begin{cases} x + y^2 = 7,25 \\ y^2 - z = 2 \\ y = \sqrt{x-1} \cdot \sqrt{2-z} \end{cases}$$

**ამოხსნა.**

შევნიშნოთ, რომ  $x \neq 1$ ,  $z \neq 2$ . მართლაც, როცა  $x=1$  და  $z=2$ , მაშინ  $y=0$ .  $x$ -ისა და  $y$ -ის ეს მნიშვნელობები ვერ დააკმაყოფილებს  $x+y^2=7,25$  პირობას.

როცა  $x>1$  და  $z<2$ , მაშინ  $x+y^2=7,25$  განტოლების გარდაქმნით მივიღებთ  $x-1+y^2=6,25 \Leftrightarrow \sqrt{x-1}^2 + y^2 = 6,25$ , ხოლო  $y^2-z=2$  განტოლების გარდაქმნით კი მივიღებთ  $y^2 + \sqrt{2-z}^2 = 4$ .

ახლა კი პირველი სავარჯიშოს მსგავსი მსჯელობით მივიღებთ:



$$AD = \sqrt{x-1}, DC = \sqrt{2-z}, BC = 2, AB = 2,5, \\ y(\sqrt{x-1} + \sqrt{2-z}) = aS_{ABC} = 2,5 \cdot 2 = 5.$$

**პასუხი: 5.**

**სავარჯიშო 3.**

სისტემის

$$\begin{cases} x^2 + xy + \frac{y^2}{2} = 169 \\ y^2 + z^2 = 50 \\ x^2 + xz + \frac{z^2}{2} = 144 \end{cases}$$

ამოუხსნელად გამოვთვალოთ  $xy+yz+zx$  გამოსახულების მნიშვნელობა, თუ  $x$ ,  $y$ ,  $z$  დადებითი რიცხვებია.


**ამოხსნა.**

პითაგორას თეორემის შებრუნებული თეორემის თანახმად მეორე განტოლების მიხედვით

$\frac{y}{\sqrt{2}}$ ,  $\frac{z}{\sqrt{2}}$  და  $5$  წარმოადგენენ შესაბამისად რაიმე  $AOC$  სამკუთხედის ( $O$  მართი კუთხით) კათეტებს და ჰიპოტენუსას, ხოლო  $x$ ,  $\frac{y}{\sqrt{2}}$  და  $13$  კი  $AOB$  სამკუთხედის

გვერდებს, რომლის  $\angle AOB=135^\circ$ . ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება კოსინუსების შებრუნებული თეორემის თანახმად. ანალოგიურად,  $x$ ,  $\frac{z}{\sqrt{2}}$  და  $12$  არიან  $BOC$  სამკუთხედის

გვერდები, რომლის  $\angle BOC=135^\circ$ . ნახაზზე სწორედ ეს სამკუთხედებია გამოსახული:



$$OA = \frac{y}{\sqrt{2}}, OB = x, OC = \frac{z}{\sqrt{2}}, AC = 5, BC = 12, AB = 13.$$

რადგან  $12^2+5^2=13^2$  ამიტომ  $ABC$  სამკუთხედის  $C$  კუთხე მართია.

$$S_{AOB} = \frac{1}{2} x \frac{y}{\sqrt{2}} \sin 135^\circ = \frac{1}{4} xy,$$

$$S_{AOC} = \frac{1}{2} \frac{y}{\sqrt{2}} \frac{z}{\sqrt{2}} = \frac{1}{4} yz,$$

$$S_{AOB} = \frac{1}{2} x \frac{z}{\sqrt{2}} \sin 135^\circ = \frac{1}{4} xz. \quad S_{ABC} = \frac{1}{2} \cdot 5 \cdot 12 = 30$$

შევნიშნოთ, რომ  $xy+yz+zx=4 S_{ABC}=120^\circ$ .

**პასუხი: 120.**

**სავარჯიშო 4.**


ამოვხსნათ განტოლებათა სისტემა

$$\begin{cases} y\sqrt{x^2-y^2} = 48 \\ x+y+\sqrt{x^2-y^2} = 24 \end{cases}$$

**ამოხსნა.**

ადვილი საჩვენებელია, რომ  $x>0$ ,  $y>0$ . რადგან

$y^2+(x^2-y^2)=x^2 \Rightarrow y^2+\sqrt{x^2-y^2}^2=x^2$ , ამიტომ  $y$ ,  $\sqrt{x^2-y^2}$  და  $x$  შესაბამისად  $ABC$  სამკუთხედის ( $C$  მართი კუთხის წვეროა) კათეტები და ჰიპოტენუსაა.



$AC = y$ ,  $BC = \sqrt{x^2-y^2}$ ,  $AB = x$ . რადგან  $y\sqrt{x^2-y^2} = 48$ ,

ამიტომ  $S_{ABC}=24$  და რადგან  $x+y+\sqrt{x^2-y^2} = 24$ ,

ამიტომ  $P_{ABC}=24$ .

$ABC$  სამკუთხედში ჩახაზული წრეწირის რადიუსი  $2$ -ის ტოლია:

$$r = \frac{2S}{p} = 2, \quad AB = AC + BC - 2r, \quad \text{ამიტომ } x = y + \sqrt{x^2-y^2} - 4,$$


მეორე განტოლებიდან მივიღებთ  $x=10$ , ე.ი.  $y=6$  ან  $y=8$ .

**პასუხი: (10;6),(10;8).**

**სავარჯიშო 5.**

ამოვხსნათ განტოლებათა სისტემა

$$\begin{cases} x^2 + y^2 = 13 \\ \sqrt{x^2+5} + \sqrt{y^2-5} = 5 \end{cases}$$



**ამოხსნა.**

განვიხილოთ  $ABC$  სამკუთხედი  $C$  მართი კუთხით და კათეტებით  $\sqrt{x^2+5}$  და  $\sqrt{y^2-5}$ .

კათეტების ჯამი  $5$ -ის ტოლია, ხოლო ჰიპოტენუსა -  $\sqrt{13}$ -ის.

თუ კათეტებს აღვნიშნავთ  $a$  და  $b$ -თი მივიღებთ  $a+b=5$ ,  $a^2+b^2=13$ .

აქედან გამოდის, რომ  $ab=6$  ე.ი.  $a=2$  და  $b=3$ .  $\sqrt{x^2+5} \neq 2$

რადგან  $\sqrt{x^2+5} \geq \sqrt{5}$ , ამრიგად

$$\sqrt{x^2+5} = 3, \quad \sqrt{y^2-5} = 2 \quad \text{ამიტომ } |x|=2 \text{ და } |y|=3.$$

**პასუხი: (2;3), (2;-3), (-2;3), (-2;-3).**

მაია თევდორაშვილი

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური 42-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი



# მარტოსული

მე არ ვნერ გამოსათხოვარ წერილს. ეს უფრო ტკივილის გამხე-  
ლაა, ტკივილის, რომელმაც ღრმა ბზარი დატოვა გულში.

თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა. სულ რაღაც 14-15 წლისანი  
ვიყავით, როცა პირველად შევხვდით ერთმანეთს მაშინდელი პიო-  
ნერთა სასახლის დრამატულ წრეში. პირველივე წუთიდან დაიბადა  
საოცარი სიახლოვის გრძნობა და დაიწყო მეგობრობის უბედნიე-  
რესი, ულამაზესი, დაუვიწყარი დღეები...

**ზინა კვერენჩილაძე** იმთავითვე ვარსკვლავად იყო დაბადებუ-  
ლი, დრამატული წრის სპექტაკლებში მოზარდისათვის უჩვეულო  
ნიჭიერებითა და ოსტატობით შესრულებული როლებით ყველასა-  
გან გამორჩეული. მას ისე შეეცქეროდი, როგორც დიდ მსახიობს,  
ასეთად დარჩა ჩემთვის ბოლომდე.

სტუდენტობის წლები კიდევ უფრო მშვენიერი და განუმეორე-  
ბელი იყო. ამ პერიოდში დაიწყო ჩვენი შესაძლებლობებისა და  
ადამიანური ღირსებების წარმოჩენა, ბევრი ისეთი რამ აღმოვაჩი-  
ნეთ ერთმანეთში, რაც აქამდე არ შეგვიმჩნევია, უბრალოდ, ბავშ-  
ვობის ასაკში არ დაგვიანხავს. ზინა თავისი ადამიანური თვისებე-  
ბით პიროვნებად ყალიბდებოდა და პედაგოგთა და, თანაკურსელ-  
თა განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის მიუხედა-  
ვად, არასოდეს უცდია „რჩეულის“ ადგილის დამკვიდრება, რაც  
კიდევ უფრო ზრდიდა მისადმი სიმპატიას.

„გაფრინდა“ სტუდენტობის წლებიც და დაიწყო დამოუკიდებე-

ლი ცხოვრების რთული და საინტერესო გზა.


ზინა კვერენჩილაძის გამოჩენა რუსთაველის თეატრის სცენა-  
ზე ნამდვილ დღესასწაულად იქცა, უჩვეულო წარმატებამ სპექ-  
ტაკლ „ბახტრიონში“ ალაპარაკა არა მარტო ქართული თეატრ-  
ალური სამყარო, არამედ მთელი საზოგადოება. იმ დღიდან დაწყე-  
ბული, ათეული წლების მანძილზე არ მოკლებია გამარჯვების სი-  
ხარული, აღიარება და სიყვარული.

და მაინც... მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც მარტოსული  
იყო. ბედმა ბევრი ტკივილიც არგუნა, რომელსაც მოთმინებით  
იტანდა და სხვათა დასანახად არასოდეს გაუმჟღავნებია თავისი  
განცდები.

ეს მარტოსულობა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა, მერე კი მია-  
შურა იმ მარადიულ სამყოფელს, სადაც ყველაზე საყვარელი გმი-  
რი ანტიგონე ეგულებოდა, ბოროტების, უსამართლობის, სიმდაბ-  
ლის წინააღმდეგ ამბოხებული ქალიშვილი, ნამდვილი სიმბოლო  
პატოსონების, სამართლიანობის, პრინციპულობისა და უკომპრო-  
მისობის, ყველა იმ თვისების მატარებელი, რაც თავად მსახიობის  
ბუნებას ემთხვევა.

მე ვერ დავნერ გამოსათხოვარი წერილი, რადგან ის ჩემში  
დარჩა და ჩემთან იქნება მუდამ.

თინათინ ელვაძიძე



## შეაღწიე სასწავლო გეგმას



ტურიზმის აკადემიის დამფუძნებლები - ამირან მექვაბიშვილი და ნუგზარ წერეთელი

თბილისის ტურიზმის აკადემია, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანია ავტორიზებულ სასწავლებლებს შორის დედაქალაქში, თავის დაარსების სათავეებთან იწყებს ახალ ისტორიას. პირველსავე წარმატებულ პრეზენტაციაზე, რომე-

ლიც ამას წინათ გაიმართა, უკვე ალაპარაკდა თბილისის საზოგადოება.

ამჯერად, გაიმართა ღია კარის დღე, რომელზეც მოწვეული იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები, მათ შორის:

## თბილისის ტურიზმის აკადემიის პირველი თაობის შესახებ

აბაშის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ქალბატონები - დიანა გვაზავა და ქეთი ჯვარელია, ლანჩხუთიდან: ბატონი გიორგი ურუშაძე, პროფესორი კალენიკე გაბეჩავა, ბატონი ანზორ კუბატაძე, თბილისის ტურიზმის სააგენტოს წარმომადგენელი, ქალბატონი ნატალია ბახტაძე და სხვები.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა აკადემიის დირექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი. მან აღნიშნა, რომ აკადემიის შექმნა დროის კარნახით და აქტუალობითაა გამოწვეული - ტურიზმის განვითარება გლობალური მასშტაბით ჩვენი ქვეყნის მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებაა და, ამდენად, ტურიზმის აკადემიის დაფუძნება უდიდეს პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული.

ბატონმა ამირანმა განსაკუთრებით ხაზგასმით ისაუბრა იმაზე, რომ ტურიზმის უზარმაზარ ინდუსტრიაში დიდი ხვედრითი წილი აქვს გიდას, მის ავტორიტეტსა და კვალიფიკაციას. მან აღნიშნა, რომ ჩვენთან დაფუძნებული სასწავლებელი გიდას მომზადების ოთხსაფეხურიან სისტემას მოიცავს, რათა წარმატებულად წარიმართოს სასწავლო პროცესი. ამისათვის აუცილებელი პირობაა, რომ ახალგაზრდა არჩევანის შეგნებულად გაკეთების შემდგომ მოვიდეს შინაგანი მზაობის, მოწოდების გათვალისწინებით, რასაც თან უნდა ახლდეს აუცილებელი საბაზისო ცოდნის მარაგი.

შეხვედრაზე აზრი გაგვიზიარეს სიტყვით გამოსულმა ქალბატონმა - დიანა გვაზავამ, ქეთი ჯვარელიამ (აბაშა), ბატონმა გიორგი ურუშაძემ და პროფესორმა კალე-

ნიკე გაბეჩავამ (ლანჩხუთი), უნივერსიტეტის იურისტმა, ბატონმა ზვიად არძენაძემ.

განსაკუთრებული ხიბლი ახლდა პროფესორ ნიკო კვარაცხელიას გამოსვლას - იგი ჩვენთან ტურიზმის მიმართულებას ხელმძღვანელობს. მან ჩამოაყალიბა ტურიზმის აკადემიის სასწავლო პროგრამა ოთხი საფეხურის მიხედვით და დეტალურად განსაზღვრა თითოეული მათგანი. შთამბეჭდავად განუმარტა აუდიტორიას გიდას პროფესია, რომ კვალიფიციური გიდას მოსამზადებლად საჭიროა სწავლის მაღალი დონე, ცოდნის ხარისხი, ფართო განათლება, რომ ეს არის მეტად პატრიოტული საქმე.

დასასრულ, გაიმართა კონცერტი. **ლია ხმალაძე** რექტორის თანაშემწე აღმზრდელით დარგში

## ინფორმაცია

\*\*\*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, „ქართული კალიგრაფიის“ კონკურსი ტარდება. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მოსწავლეებს, სტუდენტებს და საქართველოს მოქალაქე სხვა ზრდასრულ დაინტერესებულ პირებს, მათ შორის ემიგრანტ ქართველებს.

კონკურსი 3-ეტაპიანია. პირველ ეტაპზე, თითოეულმა კონკურსანტმა 2012 წლის 12 აპრილის ჩათვლით, საკონკურსო ნიმუში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში უნდა წარმოადგინოს. გამარჯვებულების გამოვლენა 30 ივნისს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსების დღეს მოხდება. ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ ბრიფინგი გამართეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 7 400 ლარი პროექტის საპროზო ფონდისთვის გამოყო. რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებული კონკურსანტები სერტიფიკატებთან ერთად, სეროიზულ ფულად ჯილდოებსა და ფასიან საჩუქრებს მიიღებენ. კონკურსის დასკვნითი ტურის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მონოდებას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს.

„ქართული კალიგრაფიის“ კონკურსს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ატარებენ და მისი მიზანია ახალგაზრდებში ხელით წერის კულტურის განვითარება და მათი შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა.

კალიგრაფიის კონკურსი მესამე წელია ტარდება. თავდაპირველად კონკურსში მხოლოდ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, გასულ წელს მათ სტუდენტები და სხვა ზრდასრული დაინტერესებული პირები დაემატათ, მათ შორის ემიგრანტი ქართველები. კალიგრაფიის კონკურსი უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ტარდება.

\*\*\*

ქართულ ინტერნეტსივრცეში ფუნქციონირება ახალმა საიტმა დაიწყო - edublog.ge პირველი საიტია, რომელიც საკუთარ მკითხველს მხოლოდ განათლების სფეროს შესახებ არ-

სებულ ბლოგებს სთავაზობს. საიტზე თავმოყრილია ინტერნეტსივრცეში არსებული ის ბლოგები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს განათლების სფეროში არსებულ ინფორმაციას აწვდის, მათ შორის, მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებზე ბლოგების ავტორები თავიანთ მოსაზრებას აფიქსირებენ.

ბლოგერთა შორის ერთ-ერთი აქტიუალური თემა ინფორმაციული ტექნოლოგიები. გასულ კვირას გარდა ეროვნული სასწავლო გეგმისა, ნათია ჯოხაძემ ასევე ისაუბრა ინფორმაციული ტექნოლოგიების როლზე განათლებაში, რომელსაც მის ბლოგზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა.



„...აქვე უნდა აღვნიშნო (შემდგომი მსჯელობის განსამტკიცებლად), რომ სულ პირველ ბუკლებში ჩემი უმცროსი შვილი, ელენეც მოხვდა, რომელმაც პირველად შეაბიჯა ფორმალური განათლების მნიშვნელოვანი ინსტიტუციაში - სკოლაში, ზუსტად 2010 წელს“. ... ნაიკითხავთ რატომ არის აუცილებელი ბავშვისა და კომპიუტერის „მეგობრობა“ და რა დადებითი მხარეები აქვს ამ ყველაფერს. ავტორის გულწრფელია კი ნამდვილად არ დაგაეჭვებთ, რადგან ის ამ საკითხზე თავისი პირადი მაგალითიდან გამომდინარე საუბრობს.

ამ თემასვე აგრძელებს 173-ე სკოლის დირექტორი შორენა ბუნტური, რომელიც საკუთარ პოსტში „რამდენად მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება სკო-

ლებში“ იმ უპირატესობებზე საუბრობს, რომელიც სკოლებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას აქვს.

კერძო სკოლა „ბაქსუდის“ დირექტორი სანდრო ვაშაქიძე კი სასწავლებლებში სპორტის სწავლებას და მის სპეციფიკას ეხება. კითხვას - „გვეჭირდება თუ არა სპორტული კვოტები სკოლებსა და უმაღლესელებში?“ - ვაშაქიძე პასუხს და არგუმენტებს საკუთარ ბლოგზე აყალიბებს.

\*\*\*

„განათლების საერთაშორისო გამოფენა 2012“-ის მონაწილე უცხოეთის ქვეყნების სასწავლო დაწესებულებათა წარმომადგენლები საქართველოს განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმების გასაცნობად, ახალი კონტაქტების დასამყარებლად და გაცვლითი პროგრამების ამოქმედების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დიმიტრი შაშკინს შეხვდნენ. სტუმრები წარმოადგენდნენ საფრანგეთის, ლიტვის, ლატვიის, ჩეხეთის, იტალიის, შვეიცარიის, კვიბროსის, თურქეთის, რუმინეთის წამყვან სასწავლო დაწესებულებებს.

დიმიტრი შაშკინმა უცხოელ სტუმრებს ბოლო წლებში განათლების სისტემაში დაწარგოლი სიახლეები გააცნო და დეტალურად იმ პროექტებზე შეჩერდა, რომელთაც სამინისტრო უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით ახორციელებს, კერძოდ, საქართველოში მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების სასწავლო გარემოს შექმნა, ინერგება ახალი სასწავლო პროგრამები და ხდება ისეთი პროფესიების წახალისება, რომელზედაც შრომის ბაზარზე დიდი მოთხოვნა და ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას ემსახურება.

უცხოელი სტუმრების შეფასებით მნიშვნელოვანია, როდესაც სახელმწიფო ასე ზრუნავს თავისი მოქალაქეების განათლების დონის ამაღლებაზე, აძლევს მათ უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობას და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებს უფინანსებს.

მინისტრთან შეხვედრაზე, მომავალი თანამშრომლობის ჩრილში, საქართველოში უცხოეთის წამყვანი უმაღლესი და პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ფილიალების ამოქმედების პერსპექტივაც იქნა განხილული. ამის წინაპირობა საქართველოში „განათლების საერთაშორისო გამოფენა 2012“-ის ორგანიზებამ უკვე შექმნა.



საუბრაბი გიზლიაზა

მენამული ზღვა



რუბრიკას უძღვება მარია ტაძაძე

ეგვიპტიდან გამოსულმა ისრაელიანლებმა უდაბნოს მიაშურეს, რადგან გზა, რომელიც მოსემ უფლის შთავაზნებით აირჩია უდაბნოზე გადიოდა. ისინი, უფლის ნებით, მენამული ზღვის პირას დაბანაკდნენ: „ოფიქრებს ფარაონის ისრაელიანებზე, გზა აუბნათო ამ ქვეყანაში, უდაბნოში მოიშველიაო“ (გამ.14:3).

ლიანები მაღალი ხელის შემწეობით გადიოდნენ“ (გამ.14:8). ხალხმა უკვე შეიგრძნო თავისუფლების სურნელი, დაინახა უფლის მფარველობის ხილული ნიშნები: „...დღისით ღრუბლის სვეტში გზის საჩვენებლად, ღამით ცეცხლის სვეტში გზის გასანათებლად, რათა ევლოთ დღითა და ღამით“ (გამ.13:21), მაგრამ ის გარემოება, რომ გამოქცეული ისრაელიანები მომწყვდეული აღმოჩნდნენ მენამულ ზღვასა და მდევრებს შორის, სასონარკვეთაში ადგებს მათ. „მოახლოვდა ფარაონი, გაიხედეს ისრაელიანებმა და, აპა, მოსდევს მათ თეთლი ეგვიპტი...“ (გამ.14:10); და უმტყუნა რწმენამ ისრაელიანთ, ძლიერ შეეშინდათ და „შეშლავლეს უფალს“. მონობას დაღწეულებმა ისევ მონობა ინატრეს, უდაბნოში სიკვდილისა შეეშინდათ, შეერყათ უფლის რწმენა, რადგან სუსტი იყო ახლად გალივებული სასოება.

ბოდიტ ეგვიპტეში: დაგვანებე თავი და დავემორჩილებით ეგვიპტელებს, რადგან უდაბნოში სიკვდილს ეგვიპტის მორჩილებაში ყოფნა გვირჩევნია?“ (გამ.14:11-12) – ეჭვი და სინანული დაიბუდა ისრაელიანთა სულელებში, ეს კი უკან შემობრუნების პირველი ნიშნებია. მოიკრიბა მოსემ თავისი რწმენა, მხნედ და მქუხარედ მიმართა ხალხს: „...ნუ გეშინიათ, მტკიცედ იდექით და დაინახავთ, რომ მალე შეგვენებათ უფალი. დღეს ხედავთ ეგვიპტელებს, მაგრამ ამიერიდან აღარასოდეს იხილავთ. უფალი იბრძოლებს თქვენთვის, თქვენ მშვიდად იყავით“ (გამ.14:13-14). ასეთ დროს ადამიანს მხოლოდ რწმენა და უფლის ყურის გდება მართებს. მოსემ მინდობილია უფალს. „უთხრა უფალმა მოსეს: რას შემომბლავით? უთხარი, დაიძრან, ისრაელიანებს. შენ კი კვერთხი აღმართე და ზღვას დააღირე, შუაზე გაიპოზა იგი და მშრალად შევლენ ისრაელიანი შუაგულ ზღვაში“ (გამ.14:15-16). უფლის ანგელოზი, რომელიც ეგვიპტიდან გამოსვლისას „დღისით ღრუბლის სვეტში და ღამით ცეცხლის სვეტში“ არ სცილდებოდა ისრაელიანთ, შუა ჩაუდგა მონინაალმდეგებს: „ჩადა ეგვიპტელთა და ისრაელის ბანაკებს შორის იყო ღრუბლად და წვედიადად ეგვიპტელთათვის, ისრაელს კი ღამეს უნათებდა. მთელი ღამის მანძილზე არ მიახლოვებიათ ერთმანეთს“ (გამ.14:20). ანგელოზი არ აძლევდა საშუალებას ეგვიპტელთა მხედრებს მიახლოვებოდნენ ისრაელიანებს, ის ცალ მხარეს უკუნ რღუბლად განირთხმეოდა, არემაგეს აბნელებდა და გონებას უმღვრევდა ეგვიპტელებს, ხოლო მეორე მხარეს ნათელს სჩუქნიდა, გზას უნათებდა, სვლას უიოლებდა ებრელებს. ეგვიპტელებმა ჯერ სვლა შეანელეს, მალე იძულებული გახდნენ გაჩერებულიყვნენ.

ლი ზღვას აღმოსავლეთის ძლიერი ქარით. ხმელეთად აქცია ზღვა და გაიპო წყალი. მშრალად შევიდნენ ისრაელიანები შუაგულ ზღვაში, წყალი კედლად ედგათ მარჯვნივ და მარცხნივ“ (გამ.14:21-22). წმინდა გადმოცემის თანახმად, ზღვაში თორმეტი გასასვლელი გამოჩნდა. ისრაელიანთა ყოველი შტო თავისი გზით, განსაკუთრებული ნიშნით აღნიშნული გამოვიდა ზღვიდან. თითოეულს თორმეტაგან საკუთარი ნინამძლოლი მიუძღვებოდა. შუაგულ ზღვაში ამ ღვთაებრივმა გამოსვლამაც ვერ გამოაფხიზლა ეგვიპტელები. „...შეჰყვნენ შუაგულ ზღვაში ფარაონის ცხენები, მისი ეტლები და მხედრები. დაჰხედ და დილის სახმილაზე უფალმა ცეცხლისა და ღრუბლის სვეტიდან ეგვიპტელთა ბანაკს და არივდარია ეგვიპტელთა ბანაკი. დააძრო ბორბლები მათ ეტლებს და გაუძნელეს სვლა...“ (გამ.14:23-25). და როდესაც მზე ამოიწვერა და გაანათა არემაგე, ეგვიპტელები მიხედნენ, რომ ისინი შუაგულ ზღვაში იმყოფებოდნენ, უკან დასახვევი გზა აღარ ჰქონდათ, წინ კი ველარ მიიწვედნენ. შიში და სასონარკვეთა დაეფულათ. „...თქვეს ეგვიპტელებმა: გავერიდოთ ისრაელს, რადგან მისი გულისთვის ებრძვის უფალი ეგვიპტელებს“ (გამ.14:25). ეს არ იყო ვედრება პატიების შესახებ, არც სინანული ჩადენილის გამო, არც მუდარა გადარჩენის შესახებ... ეს გახლდათ შიშისა და უმწეობის ამოძახილი. „უთხრა უფალმა მოსეს: დააღირე ზღვას ხელი და მიიქცევა წყალი ეგვიპტელებისკენ, მათი ეტლებისა და მხედრობისკენ“ (გამ.14:26). მართლაც, დააღირა ხელი ზღვას მოსემ და ადითადამდე მიიქცა ზღვა თავის ადგილას. უკან მიბრუნებული ეგვიპტელები მიაწყდნენ ზღვას და „...ჩაყარა ისინი უფალმა შუაგულ ზღვაში. მიიქცა წყალი და დაფარა ეტლები, მხედრები და ფარაონის მთელი ლაშქარი, ზღვაში რომ შეჰყვნენ მათ; ერთიც არ გადარჩენილა“ (გამ.14:27-28). ისინა უფალმა ისრაელიანნი ეგვიპტელთაგან, პირწმინდად შთანთქა ზღვის წყალმა ყველა, ვინც ისრაელის შთამომავალთ ემტერებო-

და და იმონებდა. „იხილა ისრაელმა მაგარი ხელი, რომელიც აღმართა უფალმა ეგვიპტელებზე. შეეშინდა ხალხს უფლისა და ირწმუნეს უფალი და მისი მორჩილი მოსე“ (გამ.14:31). გამოსვლის წიგნში აღწერილი სასწაული დღემდე აოცებს მკითხველს. ყველა თაობის მორწმუნენი და ურწმუნონი ცდილობენ სხვადასხვა აბსუნა მოუძებნონ მას. ერთერთი მატერიალისტური თვალსაზრისის მიხედვით, შესაძლებელია, რომ სწორედ ამ დროს დედამიწის სხვა რეგიონში მომხდარმა ძლიერმა კატაკლიზმმა (მაგალითად, ატლანტიდის დაღუპვამ) ზღვის ძლიერი მიქცევა და მისი ფსკერის გაშიშვლება გამოიწვია, თუმცა ეს ვარაუდი ძნელად სარწმუნოა, რადგან მილონიზე მეტი ადამიანის ზღვის ფსკერზე გადასვლას, თუნდაც ძლიერი მიქცევის დრო ვერაფრით ეყოფოდა. ეს, თავისი არსით უნიკალური მოვლენა, ნამდვილად უფლის სასწაულია. ამ სასწაულით შეძრული, განცვიფრებული თანამედროვენი თაობიდან თაობას გადასცემდნენ ზღვის ფსკერზე ერის გამოსვლის, ზღვიდან ერის ხელახლა დაბადების ისტორიას. უნდა აღინიშნოს, რომ მენამული ზღვის სასწაულბრივი გადასვლის ამბავი, ამა თუ იმ სახით, სამივე მონოთეისტურ რელიგიაშია შემონახული. მათ შორის ყურანში, სადაც მას არაერთი ლექსი ეთმობა. მენამული ზღვის ფსკერზე ებრალთა გადასვლის ამბავი სიმბოლურ დატვირთვასაც ატარებს – რა ხდება ჩვენს თავს, როდესაც უფლის კურთხევით „მენამული ზღვის“ წყალში მოვიწათლებით? ამ წყალში ვტოვებთ ფარაონის ბორბ ზრახვებს და სამუდამოდ ვთავისუფლებით ბოროტის მონობისაგან! „ფარაონი“ ძალას კარგავს და მისი ხრიკები უძღურია. ის ველარ გვმართავს, ველარ გვერევა. ის, თავის ლაშქართან ერთად, ზღვის მორეგში შთაინთქმევა. ხოლო მოსემ და მისმა ხალხმა უმღერეს უფალს სადიდებელი და სამადლობელი „...და ასე თქვეს: ვუმღერო უფალს, რადგან განდიდდა დიდად, ზღვაში გადაყარა ცხენი და მხედარი. ჩემი ძალი და დიდებაა უფალი, მსხენლად მყავდა იგი; ჩემი ღმერთია და მას ვაქებ; მამაჩემის ღმერთია და მას ვადიდებ. მეომარია უფალი, უფალია მისი სახელი“ (გამ.15:1-3).

ინფორმაცია



საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში პროექტების კონკურსში „საქართველოს ოკუპაციის ეპიზოდები 1921 წლიდან დღემდე“ გამარჯვებული სკოლებისა და მათი მოსწავლეების დაჯილდოება და მე-12 კლასის მოსწავლის, ავთანდილ სოფრომაძის, ისტორიული ნაშრომის „სისხლიანი აგვისტო“ პრეზენტაცია გაიმართა. ამით დასრულდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „ოკუპაციის კვირეული“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები, რომელთაც სამინისტრო, ყოველწლიურად, თებერვლის მეორე ნახევარში, 1921 და 2008 წლებში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემას უძღვნის.

გარი ჯგუფის მიერ მომზადებული ერთი პროექტი. ოკუპაციის ამსახველი მასალები შეეხებოდა როგორც საყოველთაოდ ცნობილ და ისტორიოგრაფიაში ფართოდ გამოუქებულ მოვლენებს, ასევე ნაკლებად ცნობილ ფაქტებსაც. პირველ ეტაპზე, სამინისტროში შექმნილი კომისიამ გამოავლინა 15 საუკეთესო პროექტი, რომელთა ავტორებმაც კომისიის წინაშე საკუთარი ნაშრომის პრეზენტაცია წარმოადგინეს. შედეგად, კომისიამ სამი გამარჯვებული სკოლის გუნდი გამოავლინა: თბილისის №81 საჯარო (I ადგილი), მარნეულის №6 საჯარო (II ადგილი) და ჩხოროწყუს №1 საჯარო (III ადგილი) სკოლები. გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფულადი პრიზებით: I ადგილზე გასული სკოლა – 2500 ლარით, II ადგილი – 1500 ლარით და III ადგილი – 1000 ლარით. ანალოგიური თანხებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ ამ სკოლების გუნდებიც. რაც შეეხება პირველ ეტაპზე გასულ 13 სკოლის გუნდს, მათ სივლეები გადაეცათ. „ოკუპაციის კვირეულის“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, დაიბეჭდა თბილისის №48 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლის, ავთანდილ სოფრომაძის ნაშრომი „სისხლიანი აგვისტო“. ნაშრომი ისტორიული ხასიათისაა და მასში მოვლენების განვითარება მე-16 საუკუნიდან, ანუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დასაწყისიდან იწყება. ავტორი დეტალურად აღწერს ყველა იმ უარყოფით ფაქტორს, რაც საქართველოს რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობამ მოუტანა. ავთანდილი ორი წლის მანძილზე ავროვებდა ინფორმაციას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე და ამ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შეიქმნა ნაშრომი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, წიგნი 300 ეგზემპლარად დაიბეჭდა და თბილისის სკოლების ბიბლიოთეკებში დარიგებდა.

მე-6 საავტორო სკოლის გურამ რამიშვილის სახელობის სასწავლო-შემოქმედებითმა ლაბორატორიამ თავისი პირველი პრეზენტაცია 1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემას მიუძღვნა. სკოლის მოსწავლეები რამდენიმე კვირის განმავლობაში იძიებდნენ, კითხულობდნენ და განიცდიდნენ იმას, რაც ჩვენი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფურცლებია და რასაც რუსული ოკუპაცია ჰქვია. „ოკუპაციის კვირეულის“ ფარგლებში მოსწავლეებმა დაწერეს თავისუფალი თემა „ჩემი თვალთ დასახული 25 თებერვალი“. ერთერთი გოგონას თემა ასე იწყება: „ჩემთვის და ჩემი თაობისთვის 1921 წლის 25 თებერვალი 2008 წლის 8 აგვისტოს დაინყო...“



სემინარის ორგანიზატორების განცხადებით, აუცილებელია ამ თაობამ გაითავისოს, ანალიტიკურად თუ ემოციურად აღიქვას 1921 და 2008 წლებში განვითარებული მოვლენები და შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს, რათა არ განმეორდეს წარსული.



იურისტის კონსულტაცია

მასწავლებლის უფლების განახლების რა ფორმები არსებობს?

მასწავლებლის უფლების განახლებისათვის პედაგოგი ვალდებულია, დააგროვოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტები.

სქემის მიხედვით, განსაზღვრულია მასწავლებლის სამი კატეგორია: სერტიფიცირებული მასწავლებელი, პირველი კატეგორიის მასწავლებელი და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი.

სქემის მიხედვით, საჭიროა შემდეგი რაოდენობის კრედიტების მოპოვება: სერტიფიცირებული მასწავლებელი - 21 კრედიტი; პირველი კატეგორიის მასწავლებელი - 32 კრედიტი; უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი - 42 კრედიტი.

8 წლის მანძილზე მასწავლებელს შეუძლია, სქემაში ჩართულობის შედეგად, მხოლოდ ერთი კატეგორიით დანიშნულება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია, სერტიფიცირებულ, ლეგალიზაციას და დამსახურებულ პედაგოგს ვადაზე ადრე მიანიჭოს პირველი და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსი.

პროფესიული და კარიერული ზრდის საფუძვლების გაგლისათვის მასწავლებელმა 7 წლის განმავლობაში უნდა გაიაროს შემდეგი აქტივობებიდან, მინიმუმ, 7 სხვადასხვა აქტივობა:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით განხორციელებულ ტრენინგი - 25 საათი/1 კრედიტი;

ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებული ტრენინგ-პროგრამები - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითად და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება - 25 საათი/0,5 კრედიტი;

გ) ტრენინგ-პროგრამები აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების ან სხვა ქვეყნის შესაბამისი აკრედიტებული სამსახურების მიერ - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ძირითადი და საგნობრივი ნაწილით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება - 25 საათი/0,5 კრედიტი;

დ) სასკოლო ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ავტორობა/თანაავტორობა - სახელმწიფოს მიერ გრიფირებული ან აკადემიური გამოცემლობის მიერ გამოცემული. სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორობა - 7 კრედიტი, სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორობა - 3 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების ავტორობა - 4 კრედიტი, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თანაავტორობა - 2 კრედიტი;

ე) საგანმანათლებლო პროექტის ავტორობა, სწავლა-სწავლების საჭიროებიდან გამომდინარე (7 წლის მანძილზე, სულ მცირე, 1 პროექტი) - 1 კრედიტი;

ვ) საგანმანათლებლო კონფერენციები, სემინარები - მომხსენებლად მონაწილეობის მიღება - 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);

ზ) საგანმანათლებლო კონფერენციებზე და სემინარებში მონაწილეობა - 0,5 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);

თ) პროფესიული სტაჟირების გავლა, საგნობრივი კომპეტენციისა და გამოცდილების შექმნა/გაზიარების მიზნით (ქვეყნის შიგნით, ქვეყნის გარეთ), სულ მცირე, 25 საათი - 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი საბუთი);

ი) საგანმანათლებლო, პროფესიული, პედაგოგიური თემატიკის მქონე საგანმანათლებლო-პედაგოგიურ უზრუნველყოფაში გამოქვეყნებული აკადემიური სახის სტატია (7 წლის მანძილზე, სულ მცირე, 3 სტატია) - 2 კრედიტი;

კ) საგანმანათლებლო თემატიკასთან დაკავშირებული კვლევის ავტორობა (7 წლის მანძილზე, სულ მცირე, 3 კვლევა) - 3 კრედიტი;

ლ) მენტორ-მასწავლებლად მუშაობა - 1 კრედიტი წელიწადში;

მ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში (7 წლის მანძილზე, სულ მცირე, 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური) - 2 კრედიტი;

ნ) მასწავლებლის მოსწავლეთა გამარჯვება მოსწავლეთა ეროვნულ ოლიმპიადებში (7 წლის მანძილზე, სულ მცირე, 3 გამარჯვება, ინდივიდუალური/გუნდური) - 1 კრედიტი;

ო) საგნობრივ კათედრაზე აქტივობები - სხვა საგნის მასწავლებელთან/მასწავლებელთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება (სულ მცირე, 3 გაკვეთილი) - 1 კრედიტი; დამუშავებული თემის წარდგენა კათედრაზე, სემინარი/კონფერენცია - 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს ვიდეორჩანაწერი);

პ) პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით პრეზენტაციის მოწყობა (7 წლის მანძილზე სულ მცირე 3 პრეზენტაცია) - 1 კრედიტი (უნდა წარმოადგინოს ვიდეორჩანაწერი);

ჟ) ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში - სასწავლო ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება;

შ.ა) მასწავლებელი ქმნის სასწავლო ციფრულ ობიექტებს (პრეზენტაცია, ცხრილი/მეფასების რუბრიკა, ბლოგი, მარტივი კონსტრუქტორით აწყობილი ობიექტები...) და იყენებს სასწავლო პროცესში.

შ.ბ) მასწავლებელი ქმნის ელექტრონულ პორტფოლიოს და ათავსებს ინტერნეტში.

შ.გ) მასწავლებელი იყენებს ისტ-ს მოსწავლეთან, მშობლებთან და კოლეგებთან კომუნიკაციისათვის - 2 კრედიტი;

რ) სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთან მუშაობა - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადეკვატური სასწავლო გეგმის, ჯგუფური და ინდივიდუალური საკლასო/სასკოლო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება - 2 კრედიტი;

ს) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით განხორციელებულ ტრენინგებში ტრენინგად მუშაობა - 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი, სულ მცირე, 25 საათი) - 2 კრედიტი;

ტ) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტებულ ტრენინგ-პროგრამებში ტრენინგად მუშაობა - 3 ტრენინგი (ერთი ტრენინგი, სულ მცირე, 25 საათი) - 1 კრედიტი.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვება შესაძლებელია შემდეგი ალტერნატიული ფორმების გამოყენებით:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა; ბ) სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

გ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მასწავლებლობის მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვ.).

თამარ აპალიანი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

ერთი ჩვეულებრივი დღე ბელატიის საჯარო სკოლაში

ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე, სამშობლოსა და სარწმუნოების დასაცავად უამრავი ბრძოლა გადართმევს. ილიას თქმისა არ იყოს, „ამ პატარა საქართველოს გადავუღვინებ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარებ და კირად ჩვენი სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსვრეს იგი...“

ქართველებისათვის სამ ლეთაებრივ საუნჯეს: მამულს, ენასა და სარწმუნოებას მიეძღვნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათის საჯარო სკოლაში გამართული კონფერენცია თემაზე „ჩემი ქვეყანა“ (ხელმძღვანელები: ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ასმათ დათიაშვილი, ამერიკელი მოხალისე ჯონათან სერნა), რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში მოქალაქეობრივი მრწამსისა და ადამიანური ღირებულებების ჩამოყალიბებას, სამშობლოს ცნების კიდევ ერთხელ გააზრებას, მშობლიური ქვეყნის სიყვარულის გაღრმავებას, უცხოელი სტუმრებისათვის ჩვენი ქვეყნის წარსულისა და ტრადიციების გაცნობას.

კონფერენციაზე მონაწილე იყვნენ: პროექტ „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ კოორდინატორი იმერეთში, ლანა კობახიძე, სხვა სკოლებში ამერიკელი მოხალისეები: სანა ენოქი, ჯონათან ჯოუსი, ბენჯამინ გლასი, შენონ მაკორმიკი, დევიდ რიჩმონდი...

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა, რომლებმაც მოძიებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ფაქტებსა და ფოტომასალებზე დაყრდნობით უცხოელ სტუმრებს წარუდგინეს სლაიდები საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, გვირუკის წარსულის, დამანისელი ადამიანების, არგონავტებისა და ოქროს საწმისის, ქართველების მიერ გადატანილი სახელოვანი ბრძოლების, ლირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლების, ქართული



დამწერლობის, ქრისტიანობის, საქართველოს ცალკეული კუთხეების, ეროვნული სამოსის, ტრადიციული კერძების შესახებ. მოსწავლეებს კონფერენციის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაში სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ელისო მანკელაძე დაეხმარა.

დასასრულ, ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა მეთექვსმეტეულმა (ხელმძღვანელი ქეთევან ტყაბლაძე) წარმოადგინეს მონტაჟი - „საქართველოთი იწყება დილა“.

კონფერენციამ ძალიან ამაღლებულად და საინტერესოდ ჩაიარა. შთაბეჭდილებებით სავსე სტუმრებმა სურვილი გამოთქვეს, რომ კვლავაც მიიღებენ მონაწილეობას მსგავს ღონისძიებებში, რომელსაც სკოლა უახლოეს მომავალში გეგმავს.

სოფიო კობრაძე

გელათის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი



ახალი სპორტული დარბაზი

17 თებერვალს, უჩვეულო ხალხმრავლობა იყო თბილისის №86 საჯარო სკოლაში. ზემო ელიაზე, თბილისის ძირძველ უბანში, №86 საჯარო სკოლის ბაზაზე, გაიხსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი კრივის სპორტული სკოლა „ელია“, რომლის მშენებლობის ხელშეწყობაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კრივის ფედერაციასა და თბილისის მერიას.

ოცი წლის წინ მიტოვებული და გააპრატახებული შენობის აღდგენას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა - ჩატარდა ევროემონტი, შეძენილ იქნა თანამედროვე სპორტული ინვენტარი. კრივის ფედერაციამ გადმოგვცა ოლიმპიური რინგი. სა-

მუშაოების ჩატარებას პირადად უძღვებოდა სპორტის დიდი ქომაგი, ენთუზიასტი, კრივის სპორტული სკოლა „ელიას“ ხელმძღვანელი პაატა ცისკარიშვილი, ამავე სკოლის დირექტორის, ჭიდაობაში სპორტის ოსტატის იოსებ ხუციშვილის თანადგომით.

სპორტული დარბაზი და არენა დღის საათებში სკოლის მოსწავლეთა განკარგულებაში იქნება, ჩატარდება გვერდითი გაკვეთილები. მზარდი თაობის სულიერი და სპორტული აღზრდის საქმეს ემსახურებენ კვალიფიციური მწვრთნელები: გივი ბუჯიაშვილი და დათო გიკაშვილი. №86 საჯარო სკოლის ათეულობით მოსწავლე (სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები - უფა-

სოდ) და თბილისის სხვადასხვა სკოლებში მოსწავლეები სიამოვნებით ეუფლებიან სპორტის ამ სახეობას. საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ: საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი შუკრი ბურჭულაძე, ამავე ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი, თბილისის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი დავით ნიკოლაური, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი როლანდ კვაჭაძე, მსოფლიო ჩემპიონი კახა ბარაგი, ცნობილი ბიზნესმენი და მეცენატი დავით ზეიკიძე. სტუმრებმა სასწავლო-საალმზრდელ პროცესში და სპორტულ შეჯიბრებებში მომავალი წარმატებები უსურვეს ალსაზრდელებსა და მწვრთნელებს.

გახსნის საზეიმო ცერემონიას დაემთხვა თბილისის ლია ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის. სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სანახაობრივად მიმზიდველი და დაძაბული ბრძოლები, რომლის შედეგების მიხედვით, ჩამოყალიბდა თბილისის ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრები საქართველოს ჩემპიონატისათვის, რომელიც გაიმართება ფოთში, 23-25 მარტს.

გამარჯვებულები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. თბილისის ჩემპიონები გახდნენ №86 სკოლის მოსწავლეები: ტიგრან შატვეროვი, დანიელ ბუნიატოვი და ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე გიორგი ცისკარიშვილი.

დიმიტრი სანია

№86 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი





## ინფორმაცია

\*\*\*

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში კრიმინალისტიკის ლაბორატორია ამოქმედდა, სადაც რეალურ სიტუაციებთან მაქსიმალურად მიახლოებული პირობებია. ლაბორატორია დღეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გახსნა.

კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში კვალიფიციური სპეციალისტები სტუდენტებს კრიმინალისტიკური ტექნიკის, საგამოძიებო ტექნიკისა და ცალკეული სახის დანაშაულთა გამოძიების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეასწავლიან, როგორცაა: კვალთა და სხვა მტკიცებულებათა გამოვლენა, ფიქსირება და გამოკვლევა, ასევე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, ადამიანის სიცოცხლის, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული, სატრანსპორტო, სამოხელეო თუ სხვა დანაშაულების გამოძიების მეთოდის თავისებურებებს.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი სტუდენტებისათვის, თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეც ზრუნავს.

უნივერსიტეტის ამოცანაა, პროფესიული და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით, სტუდენტებს შრომის ბაზარზე ორიენტირებული ისეთი განათლება მისცეს, რომელიც შედგომში მათი ცხოვრებისეული წარმატებისა და წინსვლის საფუძველი იქნება.



უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს უახლესი ნორმატივების მიხედვით აღჭურვილ ბიბლიოთეკას, სასწავლო აუდიტორიებს, კაბინეტებსა და ლაბორატორიებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს: რადიო და ტელელაბორატორიები მომავალი ჟურნალისტებისთვის, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და კრიმინალისტიკის ლაბორატორია იურისტებისთვის, „სასწავლო ინკუბატორი“ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. უახლოეს მომავალში ფუნქციონირებას დაიწყებს საქმიანი თამაშების ლაბორატორია, რომელშიც შევა: მინი-ბანკი, ტურიზმის, მარკეტინგის, პროექტების მართვისა და სანარმო ოპერაციების მართვის განყოფილებები.

\*\*\*

კავკასიის უნივერსიტეტის 450 პირველკურსელს „თიბისი ბანკის“ სათაო ოფისის საპრეზენტაციო დარბაზში, საზეიმო ვითარებაში ნებთუქები გადაეცა. კავკასიის უნივერსიტეტში ჩარიცხული ყველა პირველკურსელი ამ საჩუქარს უკვე მეოთხე წელია ტრადიციულად იღებს. ღონისძიებაში მონაწილეობდა



ლეობა მიიღო და სტუდენტებს სიტყვით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ.

კავკასიის უნივერსიტეტი 2004 წელს, კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაზაზე დაარსდა. კავკასიის ბიზნესის სკოლა 1998 წელს ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით დაფუძნდა. დღეისათვის კავკასიის უნივერსიტეტს 7 სკოლა აქვს: კავკასიის ბიზნესის, სამართლის, მედიის, ტექნოლოგიების, სახელმწიფო მართვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ტურიზმის.

2012-2013 სასწავლო წლისათვის კავკასიის უნივერსიტეტი აბიტურიენტებს მრავალ სიახლეს სთავაზობს: ბიზნესის სკოლას დაემატა ახალი სპეციალობა – საერთაშორისო ბიზნესი; მედიის სკოლას – აუდიოვიზუალური ხელოვნება; ტექნოლოგიების სკოლას – ტელეკომუნიკაცია; ჰუმანიტარულ მეცნიერებთა სკოლას – არქეოლოგიის, ფილოლოგიისა და ისტორიის მიმართულებები; ტურიზმის სკოლა კი, წელს პირველად, ბათუმის გარდა მიღებს უკვე თბილისში აცხადებს.

\*\*\*



თბილისის იუნკერთა სახელობის №52 საჯარო სკოლაში 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული იუნკერების ხსოვნის პატივსაცემად, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია გაიმართა.

მოსწავლეებმა იუნკერთა მიერ ბრძოლის ველიდან მოწერილი წერილები, მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს და რამდენიმე მუსიკალური ნომერიც შეასრულეს.

ლიტერატურული საღამო „ოკუპაციის კვირეულის“ ფარგლებში გაიმართა და როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, ისინი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ჩაერთნენ საღამოს მომზადებაში, ვინაიდან მათი სკოლა იუნკერთა საპატიო სახელს ატარებს.

\*\*\*

საქართველოს პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან, ირინე ქურდაძესთან ერთად სამტრედიის №11 საჯარო სკოლას ესტუმრა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივის – „Dont Worry, Be Healthy!“-ს ფარგლებში, მეოთხე, მეათე და მეთერთმეტკლასელებთან შეხვედრა გამართა თემბუზე: ჰიგიენა, ცხოვრების აქტიური წესი, ჯანსაღი კვება, თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების თავიდან აცილება და საგზაო უსაფრთხოება.

პრეზენტაციაში, სადაც მონაწილეობა ჯანსაღი ცხოვრების წესის თოჯინა-პერსონაჟებმა – ნიკამ და ნუცამ მიიღეს, ნაჩვენებია იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ მომზადებული ვიდეორგოლები, ასევე დარიგდა საინფორმაციო ბუკლეტები.



შეხვედრის დასასრულს, სანდრა რულოვსმა მეათე და მეთერთმეტკლასელებს ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვები დაუსვა და ვიქტორინაში გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადასცა. მეოთხეკლასელებს კი, პირველმა ლედიმ თამაშის მეშვეობითა და თოჯინა-პერსონაჟების – ნიკასა და ნუცას დახმარებით, კბილების სწორად გამოხევის შესახებ ვაკვეთილი ჩაუტარა და ბავშვებს საჩუქრად კბილის ჯაგრისები, პასტები და ზოგადი ჰიგიენის შესახებ წიგნები გადასცა.

\*\*\*

2012 წელს, პირველად, საბუნებისმეტყველო საგნების სერტიფიცირებული პედაგოგები გამოცდას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ექსპერიმენტულ ნაწილში ჩააბარებენ და დამატებით 75 ლარს მიიღებენ.

მასწავლებლის სახლში სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები ყველა საგანში, მათ შორის საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერიმენტულ ნაწილშიც მიმდინარეობს. დღეს, ქიმიის პედაგოგთა ტრენინგს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი დაესწრო.

საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგთა ტრენინგები ექსპერიმენტულ ნაწილში მიზნად ისახავს მასწავლებელთა გადამზადებას, რათა მათ შეძლონ „აინშტაინის ლაბორატო-



რის“ გამოყენებით საგაკვეთილო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვა. დარგის სპეციალისტები პედაგოგებს თანამედროვე დანადგარებთან და ინსტრუმენტებთან მუშაობის მეთოდებს აცნობენ, ცდების და სხვადასხვა დაკვირვებების ჩატარების წესებს უხსნიან და თვალსაჩინოებების გამოყენებით, სამოდელიო ვაკვეთილებს ატარებინებენ.

წელს გამოცდებზე დარგის სერტიფიკაციის შესაძლებლობა უკლებლივ ყველა საგნის პედაგოგს აქვს. სერტიფიცირებული მასწავლებლების სახელფასო სქემა კი ასეთია: ხელფასზე დანამატი 75 ლარი; დამატებით ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში – 200 ლარი; ისინი, ვინც ინგლისურის და კომპიუტერის გამოცდის ჩაბარების შემდეგ საუკეთესო 25%-ში ხვდებიან, ხელფასი 1000 ლარი აქვთ; პედაგოგებს კი, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორატორიულ გამოცდას ჩააბარებენ, ხელფასი კიდევ 75 ლარით გაეზრდებათ.

\*\*\*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თბილისის მერიისა და საგამოფენო ცენტრ ექსპოზორჯიას ორგანიზებით „განათლების საერთაშორისო გამოფენა 2012“ იმართება. გამოფენა დღეს მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გახსნა.



მიმდინარე წლის 23-26 თებერვალს, საგამოფენო ცენტრის მე-11 პავილიონში, საქართველოს 81 საგანმანათლებლო დაწესებულება და 13 უცხოური უნივერსიტეტი, კოლეჯი და უმაღლესი სკოლა თავის პროგრამებს წარმოადგენს და მათ ფართო საზოგადოებას გააცნობს.

საერთაშორისო გამოფენის ორგანიზება, ახალი სასწავლო პროექტების პრეზენტაციები და საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული ინიციატივების განხილვა ძალზე მნიშვნელოვანია.

განათლების რეფორმის ფარგლებში, დაიხვეწა და თანამედროვე სტანდარტებს მოერგო პროგრამები, რომლებიც საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში ხორციელდება. რაც შეეხება სწავლას იგი ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისთვის, მიუხედავად სოციალური ფენისა, რელიგიური აღმსარებლობისა თუ წარმოშობისა, ყველას აქვს სრულყოფილი განათლებისა და თვითრეალიზაციის საშუალება. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ გაეროს ეგიდით ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველო განათლების ხელმისაწვდომობით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა.

გამოფენის დღეებში ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება ექნება სრული ინფორმაცია მიიღოს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა საგანმანათლებლო პროგრამებზე. გამოფენაში მონაწილეობენ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებიც, რომელთა ძირითად მიზანს საგანმანათლებლო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს.

გამოფენის ფარგლებში მოეწყობა პრეზენტაციები და ჩატარდება „ღია კარის დღეები“.

\*\*\*



„ოკუპაციის კვირეულის“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირების შვილებს უმასპინძლა. მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ II-III-კლასელ წარჩინებულ 19 მოსწავლეს საჩუქრად ნებთუქები გადასცა. კომპიუტერებში სასწავლო-შემეცნიერებით პროგრამებზე ჩატვირთული, რაც მათ სწავლაში და თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლებაში დაეხმარებათ.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისადმი მიძღვნილ აქტივობებს შორის ამ მოსწავლეთა ნახალისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რუსეთთან ომში დაღუპული გმირების შვილებს ყველაზე მეტად ესაჭიროებათ თანადგომა და სიყვარული, მათ ხომ საკუთარ თავზე გამოსცადეს რუსული აგრესიის მძიმე შედეგები.



სპორტი

# 12-წლამდელ მოჭადრაკეთა ტურნირი



სალომე სანიკიძე



გურამ ჭელიძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს 12-წლამდელ მოჭადრაკეთა პირველი ლიგის გათამაშება, სადაც უკვე მილია ტურნირის ნახევარი. ბიჭებში შესანიშნავი სტარტი აიღო თბილისელმა გურამ ჭელიძემ, რომელმაც საწყისი ოთხი პარტია მოიგო და ქულათა მაქსიმუმითაც დაწინაურდა. თუმცა, მეხუთე ტურში ერთ-ერთი მდევრის – გიორგი თავზარაშვილის დამარცხება ვერ შეძლო და მასთან ქულები გაიყო. ამით კარგად ისარგებლა ნიკოლოზ პეტრიაშვილმა, რომელმაც ვაჟებში მოთამაშე მარიამ წამალაშვილი დაამარცხა და ლიდერს ქულებით გაუთანაბრდა – ახლა მათ ანგარიშზე 4.5-4.5 ქულაა. ბევრ რამეს გადაწყვეტს მათი პირადი შეხვედრა უახლოეს ტურში. ჭელიძის დაწვევა 3.5-იან დათა მათნაძესა და გიორგი ვარაზაშვილსაც შეეძლოთ, რომლებიც ერთმანეთში თამაშობდნენ. მოგება ორივეს ჰაერით სჭირდებოდა, რადგან ამ

შემთხვევაში ლიდერთა დუეტს შეუერთდებოდნენ, თუმცა ორივემ მედგრად იბრძოლა, ერთმანეთს ლირსული კონკურენცია გაუწიეს და შეხვედრა ყაიმით დაასრულეს. ახლა მათ ანგარიშზე 4-4 ქულაა. ამდენივე დააგროვა თამაზ კიკნაველიძემაც, რომელმაც ბოლო ტურში კობა ჩოქური დაამარცხა და 4-ქულიანების დანევის შანსი არ მისცა. დაძაბულად მიმდინარეობს გოგონების პაექრობაც, თუმცა იქ სალომე სანიკიძის უპირატესობა ცოტათი მაინც გამოიკვეთა. მან საწყისი სამი პარტია მოიგო, მეოთხეში კი ლიზი კავილაძესთან გაიყო ქულა. მეხუთე ტურში ისევ იმარჯვა – ოლგა სტეპანოვასთან და 4.5-ით ლიდერობს ჩემპიონატს. მეორეზე კავილაძეა 4 ქულით, მესამეზე – 3.5-იანი თამარ ონიანი. მომდევნო კვირაში ჭადრაკის სასახლეში სტარტს 7-წლიანთა საქართველოს ჩემპიონატიც აიღებს.

# ბილიარდის ჩემპიონატი

ტურნირს, რომელიც საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ბილიარდის სხვადასხვა სახეობებში ჩაატარა, გასულ უქმეებზე საბილიარდო კლუბმა „რიომ“ უმასპინძლა. შეჯიბრების ორგანიზატორები, აგრეთვე, იყვნენ ბილიარდის ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. ტურნირში ქვეყნის 20 უმაღლესი სასწავლებლის 50-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. მედლების რაოდენობით ყველას სტუ-მ და სამედიცინო უნივერსიტეტმა აჯობეს – 2-2 ჯილდო მოიპოვეს, თუმცა უპირატესობა მაინც ტექნიკოსთა მხარესაა, რადგან მომავალ ექიმთაგან განხვავებით მათ მონაგარში ოქროს მედალიცაა. სტუ-მ უმაღლესი სინჯის მედალი ვაჟთა ტურნირში მოიპოვა, სადაც გივი ძეგანიძე გაიმარჯვა. მეორეზე თსუ-ს წარმომადგენელი ირაკლი მეფარიშვილი გავიდა, მესამეზე – გიორგი კორძაია სამედიცინო უნივერსიტეტიდან. გოგონებში ჩემპიონი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი ეკა თორაძე გახდა, ვერცხლი მარიამ დადაშინს ერგო სტუ-დან, ბრინჯაო – სამედიცინოელ ხატია ეფიშვილს.

# ჭაბუკთა გამოცდა საბარჯოში

საგარეჯოს საჭიდაო დარბაზმა იქაურთა სახელოვანი ფალავანის ოთარ არჩუაძის ტრადიციულ მემორიალს უმასპინძლა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა უმცროს ასაკში. შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითი გამოდგა და მასში ქუთაისის, თბილისის, ყვარლის, ბოლნისის, საგარეჯოს, ახმეტის, გურჯაანის რაიონებთან ერთად ცალკეული სოფლების გუნდებიც მონაწილეობდნენ – გლდანი, გამარჯვება, დილომი. კარგად იასპარეზა ყვარლის ნაკრებმა, რომელშიც მრავლად გამოდიოდნენ ეროვნული უმცირესობის – დაღესტნელების წარმომადგენლები. მათ შორის ძმები და უბრალოდ მოგვარეებიც იყვნენ. ყვარლებმა 6 ოქრო მოიპოვეს და აქედან 5 დაღესტნელების (ძირითადად – ვარელების) მონაგარია. მედლები გუნდის იქაურმა ქართველებმა მოიპოვეს, თუმცა ეროვნულმა უმცირესობამ მაინც „დაჩაგრა“ აბორიგენები. იქაურთაგან ჩემპიონები შალვა ლუაშვილი (20), შამირ გაჯიევი (23), მირზა გაჯიევი (26), მაგამედ მადამაგამედოვი (32), შაბიბ გაჯიევი (46) და მაგომედ აბდულაევი (59) გახდნენ. ორ ნონაში, ყვარელთა მონაწილეობით, ქართულ-დაღესტნური ფინალიც გაიმართა – 20-ში ლუაშვილმა ფათა მადამაგამედოვი დაამარცხა, 32-ში კი მეორე მადამაგამედოვი თორნიკე ასაბაშვილს მოუგო. საგარეჯოში ტყუილად არც ქუთაისელები ჩასულან, სადაც ბოლო წლებში ორივე სტილის ჭიდაობა – „თავისუფალი“ და ბერძნულ-რომაული მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. იქაურებმა სამი ოქრო მოიპოვეს – გიორგი ნიშნიანიძემ (29), გაგა გარჩაკუდაშვილმა (42); მასვე გადაეცა სპეციალური პრიზი და ოთარ ჯანელიძემ (73). ამის გარდა, ქუთაისელებმა სხვა სინჯის მედლებიც მოიპოვეს, 73-ში კი იქაური ფინალი შედგა – ჯანელიძემ თორნიკე ტყეშელაშვილს მოუგო. ორ-ორი ოქროსა საგარეჯოსა და ახმეტის ანგარიშზე, ერთიც დილმელებმა მოიპოვეს. მასპინძელთაგან ტურნირის ჩემპიონები ნიკა მესროფოვი (38) და ბექა ჭაბუკაშვილი (66) გახდნენ, ახმეტელთაგან – ნიკა შაშიაშვილი (35) და გიორგი ნაროზული (50), ხოლო დილმელთაგან დავით ქოჩქიანი (53) გაიმარჯვა.

# ჭაბუკები დიდი გზის დასაწყისში

შაბათ-კვირას, დილოში, ძიუდოს აკადემიაში, საქართველოს პირველობა ჩატარდა ჭაბუკ ძიუდოსტა შორის. ეს ნაკრები თაობათა ცვლის მტკიცეული პროცესის წინაშე დგას, რადგან შარშანდელი ლიდერების უმეტესობა გუნდიდან წავიდა. თავად განსაჯეთ – ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული ბექა ლვინაშვილი (81), ამავე ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი გურამ თუშიშვილი (90), ევროპის ჩემპიონი ვანო მამისაშვილი (55), ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი შალვა ჩოჩელი (90), მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი ბექა დონღვანი (73), ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი ლევან გუგავა (73), ფესტივალის მესამე პრიზიორი გიორგი მუხიაშვილი (66) – ეს მთელი ნაკრებია, ხოლო ამ ტიტულებს ბევრი

ფედერაცია მთელ სეზონში ვერ ინატრებს. შარშანდელი გუნდიდან მხოლოდ ევროპის ვიცე-ჩემპიონები – თამაზ კირაკოზაშვილი (60) და გიორგი ლაზუაშვილი (+90) დარჩნენ, ოღონდ კირაკოზაშვილმა წლეულს ნონა შეიცვალა, თუმცა 66-შიც უჭირს სონის დაკლება. მას არც ქვეყნის პირველობაზე უჭიდავია, ამის მიზეზი ტრავმა გახლდათ. რჩება აგრეთვე ვანო ჩურჩხელაშვილიც (73), რომელიც შარშან ობიექტური მიზეზით ვერ მოხვდა ნაკრებში, ამჯერად კი ქვეყნის პირველობა მოიგო. თუ მან უცხოეთშიც წარმატებით იჭიდავა, ნაკრებში მოხვედრაში ხელს ვერაფერი შეუშლის, მწვრთნელებს კი მისი გამორჩეულად ეიმედებათ. დაახლოებით იგივე ითქმის გიორგი კაციაშვილზეც (55). შალვა ჩოჩელის ნასვლის მიუხედავად, შესაძლოა, გუნდი მაინც არ დარჩეს ჩოჩელთა წარმო-

მადგენლის გარეშე და შალვა უმცროსმა ძმამ – რამზეს ჩოჩელმა (73) შეცვალოს, რომელიც ახლა მესამეზე გავიდა. აქვე გეტყვით, რომ სპორტსმენებთან ერთად შეიცვალა ხელმძღვანელობაც – მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ვაზაგაშვილმა ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლა, ჭაბუკებს კი, მის ნაცვლად, გია თენაძე ჩაუდგა სათავეში. ქვეყნის ჩემპიონატს წინ ახალშემოდგომული ორი სარეიტინგო ტურნირი უძლოდა. სწორედ მათი შედეგების მიხედვით მოეწყო განთესვა, რამაც ობიექტური სურათის მიღებას შეუწყო ხელი – ადრეულ ეტაპზე ძლიერების შეხვედრა გამოიცილა. ამდენად, თაობათა ცვლის გამო, ეს ჩემპიონატი მონაწილეებისთვის დიდი გზის დასაწყისი გამოდგა – ბევრ მათგანს პირველად მიეცა ნაკრებში მოხვედრის შანსი, ზოგსაც – გაეზარდა ლიდერთა ნასვლის გამო. ამიტომ ჭაბუკების დიდი ინტერესიც გამოიწვია, შეჯიბრებაში 300-მდე მოზარდი გამოვიდა, ქვეყნის მასშტაბით. ეს მხოლოდ პირადი პირველობა იყო და გუნდურ შედეგებს ყურადღება არ ექცეოდა, თუმცა ყველაზე მეტი ოქროს მედალი კახეთმა მოიპოვა – 4, თბილისს 2 ერგო, აჭარამ და შიდა ქართლმა კი თითო-თითო დაინარჩუნეს. კახეთიდან ჩემპიონები გახდნენ: ირაკლი კუპატაძე (50), კობა მჭედლიშვილი (60), ვანო ჩურჩხელაშვილი (73) და დავით რამაზაშვილი (90), თბილისიდან – გიორგი ქურდიანი (81) და გიორგი ძეზისაშვილი (+90); აჭარას ოქრო ბაჩანა ბოლქვაძემ (66) მოუტანა, შიდა ქართლს კი – გიორგი კაციაშვილმა (55).



ბექა ლვინაშვილი

17-18 მარტს ჩემპიონატის მედალოსნები ანთალიაში გამოვლენ ევროპის ჭაბუკთა თასზე, თუმცა, სავარაუდოდ, იქ საკუთარი ხარჯით კიდევ რამდენიმე ძიუდოსტიც იჭიდავენ – ისინი, ვინც ამჯერად უმედლოდ დარჩა, მაგრამ ნაკრებში მოხვედრის ამბიციას კვლავ ინარჩუნებს. მწვრთნელები მათ სურვილს გაგებით ეკიდებიან და შანსს აძლევენ. ანთალიაში, ბიჭებთან ერთად, რამდენიმე გოგოც წავა, იქიდან დაბრუნებული გუნდი კი მზადების საშუალებით ეტაპზე გადავა. 22-24 ივნისს ჩერნოგორიულ ბარში გასამართ ევროპის ჩემპიონატამდე ნაკრები გერმანიაშიც იასპარეზებს დასკვნით შეჯიბრებაში. სწორედ იქ გადაწყდება საბოლოოდ, მწვრთნელები ვის ნაიყვანენ ჩერნოგორიაში. ზემოხსენებულმა ბექა ლვინაშვილმა ძიუდოს სამყარო გააოცა პრლაში, უფროსთა შორის გამართულ სალიცენზიო ტურნირში – მსოფლიოს თასზე. ქარელი ფალავანი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა, თუმცა ამას ჩეხეთში მისთვის ხელი არ შეუშლია და მეორე ადგილზე მაინც გავიდა. მედლებზე მეტად სასიამოვნო მისი დამაჯერებელი ჭიდაობა – ეს პატარა ბავშვი ლამის ორჯერ უფროსებს დაერია და აქეთ-იქით სავარჯიშო იარაღით აფრიალა. ის ძალიან კარგად იყენებს ქართული ჭიდაობის, მართლაც რომ, მაღლიან ილეთებს – მოგვერდს, ბრუნს, ამოსმულს, შიდა თუ გარე ფეხს, შესანიშნავად ავლებს ქამარში და, არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალის დამსახურებით, სულ ჰაერში აფრიალებს მასზე უფროს მონინალმდევეებს. რამდენიმე მეტოქე პირდაპირ თავით დაარჭო ტატამზე, ზოგიერთი მათგანი კი ლამის ორჯერ უფროსია მასზე. ლვინაშვილმა ჩეხეთში 5-დან 4 შეხვედრა იპონით მოიგო, მეხუთე – ვაზარით, ფინალი კი წააგო, ამის მიზეზი დიდწილად, ნახევარფინალში მიღებული ხელის ტრავმაა. მან თითქმის ყველა თბილისის ტურნირზე იტკინა, რაც პრალაში გაუახლდა. ნაგების მიუხედავად, მისი ტალანტი, რაც ჯერ კიდევ შარშან ჭაბუკებში გამოავლინა, ყველამ ირწმუნა. თუმცა, ერთი ჭაბუკები და მეორე – ასეთ დონეზე, ლამის მამისტოლა კაცებთან ჭიდაობა, ახლა კი ყველამ დაიჯერა, რომ ლვინაშვილის სახით მსოფლიო ძიუდოს ახალი ვარსკვლავი ეზრდება.





# სიასლა!

**საქართველოს ისტორიული ატლასი**

ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი

საქართველოს ისტორიული ატლასი

ერთი ტომის ფასი 5,70 ლარი

## კლასიკური პოეზია

ელფის გამომცემლობამ დაიწყო ახალი სერიის, კლასიკური პოეზიის გამოცემა. სერიის ფარგლებში იბეჭდება მსოფლიო კლასიკოს პოეტთა რჩეული ლექსები. ამ ეტაპზე გამოვიდა სამი წიგნი. პირველ წიგნში მკითხველი გაეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინისა და ტერენტი გრანელის რჩეულ ლექსებს, მეორეში - ტიციან ტაბიძის, სერგეი ესენინისა და მირზა გელოვანის ლექსებს, ხოლო მესამე წიგნი ლადო ასათიანს, ალექსანდრე ბლოკსა და პაოლო იაშვილს აერთიანებს.

ელფის გამომცემლობა შეეცადა ამით მკითხველისთვის ეჩვენებინა, ქართველ და მსოფლიო კლასიკოს პოეტთა სულიერი და კულტურული ურთიერთობა, რისი დამადასტურებელიცაა ამ წიგნებში შესული ლექსები.

სამი ტომის ფასი 21 ლარი

www.elf.ge

ელფის გამომცემლობა

### თემატური კლასიკები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძველი ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-პოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საბარათი

ერთი ტომის ფასი 2.5 ლარი

### თემატური კლასიკები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საბარათი
3. გარეული ცხოველები საბარათი
4. მწერები
5. ძველი ხალხური საკრებები
6. ძველმეცნიერები საბარათი
7. საბარათი მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიდაბი - სიცოცხლის წყარო
11. კვლევი რევი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინამიკა
14. ძველი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამხაროს წარმოშობა
16. ძველი მეთოდის შენარჩუნება და საბარათი ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ტომის ფასი 3 ლარი

### ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი	10. იოსებ ბრიჯაშვილი	19. აკაკი წერეთელი
2. გიორგი ლეონიძე	11. პოლიკარპე კაკაბაძე	20. რუსთაველი
3. ირაკლი აბაშიძე	12. გურამ რჩეულიშვილი	21. ვაჟა-ფშაველა
4. ნოდარ დუმბაძე	13. იაკოვ სუცესი	22. თეიმურაზ I
5. მირზა ბელოვანი	14. იოანე საბანიძე	23. ვახტანგ VI
6. აკაკი ბაქრაძე	15. დავით გურამიშვილი	24. გიორგი მერაბული
7. ვასილ ბარნოვი	16. ზესიკი	25. ბრიგოლ ორბელიანი
8. პაოლო იაშვილი	17. რევაზ ინანიშვილი	26. დავით აღმაშენებელი
9. სულხან-საბა ორბელიანი	18. ალექსანდრე ჭავჭავაძე	27. გურამ ასათიანი

ერთი ტომის ფასი 4 ლარი

### რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბაღარინები - დედა	7. დელფონელი სიბილა - მიქელანჯელო
2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი	10. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო	11. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
4. ადელ ბლონ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი	12. საბანა - რენუარი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტი პარმენს ვან რაინი	13. საკვირაო გასართობი, ბრან-შატის კუნძულები - შორს სიორა
6. მინიები - ველასკესი	

ერთი ტომის ფასი 6.5 ლარი



## ქართველი მწერლები


- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-IV ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ელიშვირ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, II, III, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭაღლიძე (9-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ბრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-II ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტიან იოსელიანი (10-ტომიანი), I-IX ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-IV ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## გამოცემლობა „აქალი განათლება“ და გაზეთი „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი

სელმომწერთა საყურადღებოდ!  
თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ სელმომწერა.

### გამომწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალური ფასად



საყმანელო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმანელო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

### პირველად საქართველოში!

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი თამარ ბეროზაშვილი „ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



## „ახალი განათლება“ წიგნის თანად

### მიმდინარეობს სელმომწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური სელმომწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

სელმომწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

## შედეგები



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია


~~30~~ 26 ლარი

სელმომწერის ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი - 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მაღამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მიგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი

### „რა არის რა“ ერთი ტომი - 11 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბაღაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba  
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096  
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს პანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL  
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >